№ 60

სამშაბათი, 26 აპრილი

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№

სამშაბათი, 26 აპრილ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ
სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდ
ზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.
წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და ს
ზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე
მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოს
კოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ა
გილობრივი (კავკასიის) განცხადებ
მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩა
ზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ხსენებულ ბანკის წესდების § 89-ისა, **ბანკის რწმუნებულთა წლიური საზოგადო მორიგი კრება** დანიშნულია ქ. ქუთაისში 28 მაისისათვის 1905 წ. 11 საათზე, ბანკის დარბაზში. კრება, წესდების ძალით (შენიშვნა მე-89 მუხლისა), სრულიად კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დასწროს წევრი.

რწმუნებულთა კრების განსახილველი საგნები 1905 წელს:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული 1904 წლის ბანკის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარე 1905 წლისა.

3) განაწილება თანხისა საზოგადო საჭიროებისათვის.

4) შეცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

5) არჩევა ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის თითო წევრისა.

თანაშემწე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისა **მ. ფალავა.**

(3—6—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.

ზ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$ $1\frac{1}{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—[illegible] შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

მადაც ასეთი უნდა!..

მკითხველს, ალბად, არ დავიწყებია ის კამათი, რომელიც ჩვენ ამ რამდენისამე კვირის წინად გაზ. „მშაკ“-ის რედაქტორ ა. ქალანთართან გვქონდა გამართული. დღეს ვიგონებთ ამ ცოტათი მოძველებულ ამბავს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ერთის მხრით ახლაც საინტერესო და საგულისხმიეროა...

მარტის დამდეგს ბ-ნმა ქალანთარმა „მოხსენება“ წაიკითხა სამეურნეო საზოგადოებაში და „საზოგადოებას“ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღაძვრევინა, რომ ის 30 ათასი სული სომეხი, რომელნიც ოსმალეთიდან დროებით გადმოსახლებულან სოხუმის ოლქში და იქ დაბინავებულან, მთავრობამ აღარ გადაასახლოს ოსმალეთში და იქ დაანარჩუნოს, სადაც ახლა არიანო.

ასეთი შუამდგომლობა ჩვენ ვერ მოვუწონეთ ბ-ნ ქალანთარსა და სამეურნეო საზოგადოებას და ის აზრი გამოვსთქვით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც თავის თავადაც მჭიდროდ არის დასახლებული და ადგილობრივ ხალხს არ ჰყოფნის საცხოვრებლად, უცხო სახელმწიფოდან ხალხის გადმოსახლებისა და დაბინავების მომხრე ვერ გავხდებით—პირიქით, ამის წინააღმდეგი ვიქნებით ყოველთვისო.

ბ-ნმა ქალანთარმა დაიწყო თავის მართლება და გვარწმუნებდა,—მე მხოლოდ დროებით თავის შეფარების უფლებას ვთხოულობ და ფიქრად არ მომდის, ოსმალეთიდან გადმოსულ სომხებისათვის აქ, კავკასიაში, ნადელების ძებნა და სომხურ ტერიტორიის გაფართოვება ვიწყოო.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მადიანია ბურჟუაზია საზოგადოდ და ჩვენი მეზობელ ხალხის ბურჟუაზია კერძოდ, და ამიტომ განმეორებით გადაჭრილად ვუთხარით მოწინააღმდეგეებს, რომ არავითარი თანხმობა, არავითარი „ძმობა და ერთობა“ ჩვენსა და მათ შორის არ შეიძლება, თუ მათ ფანტასტიურ აზრებს თავი არ დაანებეს და საქართველოს ტერიტორიაზე ახალ ეროვნულ ტერიტორიის გამართვის სურვილს სამუდამოდ არ გამოემშვიდობნენ.

„Конечно, конечно“! გვეუბნებოდნენ ჩვენს გულახდილ ლაპარაკზე ჩვენი მეზობლები, თან «ძმობა-ერთობის» და „სტუმართ-მოყვარეობის“ მოვალეობას გვაგონებდნენ, ხოლო გულში კი იღიმებოდნენ და საქმით სულ წინააღმდეგსა ფიქრობდნენ და სთხზავდნენ...

სწორედ იმ ხანებში, როდესაც ბ-ნმა ა. ქალანთარმა უშველებელი წერილი მოგვწერა და ვითომ თავისი პირდაპირობა და მეგობრულ განწყობილების ტრფიალება დაგვიმტკიცა, ტფილისის საბჭოში მოიყარა თავი აქაურმა და აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდენილმა ბურჟუაზიამა და თათბირი დაიწყო სომხის ხალხის საჭიროებათა გამოსარკვევად. არ ვიცით დაახლოვებით, ვინ არიან თათბირში მონაწილეობის მიმღებნი და მართლა აირჩია თუ არა ისინი სომხის ხალხმა თავის წარმომადგენლებად, ვიცოდით მხოლოდ, რომ სამეურნეო საზოგადოებაში ერთ-ერთ კრებაზე ბ-ნმა ქალანთარმა გამოგვიცხადა და გაგვაგებინა, რომ ის „მოთათბირენი“ ხალხისაგან არიან არჩეულნი და დავალებული აქვთ—გამოიკვლიონ სომეხ ხალხის საჭიროებანიო. თუ არ ვსცდებით, მანვე თავის შესახებაც განაცხადა, რომ მე იმ თათბირში 30 ათას სომხისგან ვარ არჩეული წარმომადგენლადაო. ადგილობრივი რუსული გაზეთებიც ამასვე ამბობენ, რომ საბჭოში გამართულ კრებების წევრნი ხალხისგან არიან არჩეულნიო.

ყოველ შემთხვევაში, ასე იყო თუ ისე, სომეხთა ერთი თვალსაჩინო ჯგუფი შეიკრიბა ტფილისში და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ შეიმუშავა «სომეხთა მოთხოვნილებანი». ეს მოთხოვნილებანი უკანასკნელ დღეებში დაიბეჭდა ყველა ადგილობრივ გაზეთებში და „ამიერ-კავკასიის სომეხთა პეტიცია“ აწერია სათაურად.

ეს „პეტიცია“ ბევრის მხრით არის საინტერესო. და ჩვენ არც ერთ მხარეს არ დავივიწყებთ და აღვნიშნავთ თავის დროზე. განსაკუთრებით კი საინტერესოა ის პრინციპიალური საგანი, რომელსაც ჩვენი და ბ-ნ ა. ქალანთარის კამათი შეეხებოდა.

როგორ გგონიათ,—გამართლდა ჩვენი მოკამათის რწმუნება, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ჩვენ არ ვცდილობთ ოსმალეთის სომხობისათვის ჩვენში ტერიტორიის გაჩენასო? ჩვენ გულუბრყვილო არა ვართ, რომ ყველაფერი, რასაც გვეტყვიან, უსათუოდ დავიჯეროთ და თავი მოვიღოროთ. მაგრამ, უნდა გამოვტყდეთ, ის, რაც „პეტიციაში“ ვნახეთ, ჩვენისთანა სკეპტიკებისთვისაც კი მოულოდნელი და საკვირველი იყო.

„პეტიციის“ შემდგენნი არც აციებენ, არც აცხელებენ და პირდაპირ თხოულობენ, რომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებს, რომელნიც რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებენ, კავკასიაში ნადელები უნდა მიეცეთ და დასახლებულ იქმნენო!..

უეჭველია,—გიკვირთ, მაგრამ კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, როცა ამ „საკვირველებას“ ღრმად ჩაუკვირდებით და მის აუცილებელ დასკვნას სავსებით გაითვალისწინებთ.

რა დასკვნაა ეს? ამაზე ვთხოვთ—თვითონ მკითხველმა მოიფიქროს დღეს და ჩვენ წერილის შეწყვეტის ნება მოგვცეს..

ფრიდრიხ შილლერი

(მის გარდაცვალებიდან ასის წლის შესრულების გამო).

ცხრა მაისისათვის—ახალის სტილით—გერმანიის მთელი ერი, არა თუ თვით გერმანიაში, არამედ ავსტრიასა და შვეიცარიაშიაც, დიდებულის დღესასწაულებისათვის ემზადება. ამ დღეს უნდა მოიგონონ გერმანიის ერთი უდიდებულესი პოეტთაგანი—ფრიდრიხ შილლერი. უმთავრესი დღესასწაული გაიმართება ქალაქ ვეიმარში, სადაც შილლერმა გაატარა თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები. აქ თავს მოიყრის მთელის გერმანიის უნივერსიტეტების სტუდენტთა დეპუტაციები და შილლერის ყველა გმირების გრიმებითა და ტანისამოსით გამოწყობილნი ქუჩებში ივლიან. ასეთსავე მსვლელობას გამართავენ ბერლინსა და სხვა ქალაქებში. დღესასწაულების წინა ღამეს გერმანიისა, შვეიცარიისა და ნემეცთა ავსტრიის მთებზე დიდ ცეცხლებს დაანთებენ. ამით კიდითი-კიდემდე აუწყებენ ყველას იმ სიხარულს, რა სიხარულითაც ეგებება გერმანელი თავის დიდებულის პოეტის ხსენებას. სადღესასწაულო წარმოდგენებისა და კრებების გარდა, რომლებიც გაიმართება უნივერსიტეტებსა, აკადემიებსა, სკოლებში და სხვ., გერმანელებმა გადასწყვიტეს გაიხსენონ, განამტკიცონ და გააფართოვონ ზეგავლენა შილლერისა მის თხზულებათა იაფ-გამოცემებით. გარდა ამისა, შვეიცარიის სკოლებში მოწაფეებს დაურიგდებათ 100,000 ცალი შილლერის დრამისა „ვილჰელმ ტელი“.



ფრიდრიხ შილლერი.

რა იყო შილლერი გერმანელთათვის, ნუ თუ მარტო დიდებული, ხმა-ტკბილი პოეტი? არა, იგი მარტო დიდებული პოეტი არ იყო, იმან აღზარდა რამდენიმე თაობა და დღევანდლამდისაც დიდი გავლენა აქვს გერმანიის ახალგაზდობის განვითარებაზე. როდესაც იმან, მე-18 საუკუნის ნახევარში, გამოსცა თავისი პირველი დრამა „ყაჩაღები“, გერმანიის ერს ეძინა, მისი გონებრივი ძალები დაეხშო იმ დროინდელ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ უღიერობას. „ყაჩაღებმა“ თავზარი დასცეს მაშინდელ მცონარეობას, გამოაფხიზლა პიროვნება და იმის და მიუხედავად რომ ეს დრამა გატაცებითა და გადამეტებითაა დაწერილი,—გერმანიის მაშინდელ ახალგაზდობას ცხოვრების სინამდვილე თვალ-წინ დაუყენა.

სალიტერატურო ასპარეზზე ეს მისი პირველი ნაბიჯიც კი განასხვავებს მას ჰიოტესაგან, რომელიც სიკვდილამდე მხოლოდ მხატვარი და განყენებულ საგნებზე მოფიქრალი იყო. შილლერი ხალხთან უფრო ახლო იდგა და მარად ცდილობდა—ხალხი მწუხარება-გაჭირვებისაგან დაეხსნა. ამისდა მიუხედავად მთელ მსოფლიო ლიტერატურაში იგი ერთი დიდებულ იდეალისტთაგანია. მაგრამ მისი იდეალისტობა მწუხარე და მიუწდომელი არ არის. შილლერის, სულთა-სწრაფვა იყო, იქამდის აღეზარდა თავისი ერი, რომ მას შესძლებოდა დიადი საკაცობრიო იდეალების მიღება და განხორციელება. მართალია თავის „ყაჩაღებში“ იგი ჭაბუკურის გატაცებით უგალობს თავისუფლებას, მაგრამ მერე უფრო ზომიერი ხდება, ქადაგებს ქველობას და საჭიროდა სთვლის ხასიათის შემუშავებას. დიდის სიყვარულითა და ხალისით ხატავს იმ გვარ ხალხს, რომლებიც ცდილობენ, შეიმუშაონ თავისი ხასიათი და განამტკიცონ ზნეობრივი გრძნობანი.

შილლერის ყველა დრამაში გატარებულია ზნეობრივი ტენდენცია. გაკეთილშობილება გულისა და სულის უმთავრესს მიზნად მიაჩნია იმისათვის, ვისაცა ჰსურს ადამიანის სახელი ატაროს. მისი დრამები გასართობად არ არიან დაწერილნი, იგინი დაწერილნი არიან ადამიანის აღსაზრდელად, გასაფაქიზებლად, მაგრამ მაინც მეტის-მეტი საყურადღებო გამტაცებელნი და სასცენონი არიან, ვინაიდან თვით შილლერი დიდებული ხელოვანი იყო. მართალია, შილლერის დრამებს, როგორც ყველა მის თანამედროვეთა—ხშირად აღარა სდგამენ სცენაზე, მაგრამ მისი დრამები მაინც დიდად აღფრთოვანებენ და იტაცებენ მაყურებელთ და ჯერ კიდევ დიდხანს არ დაჰკარგავენ თავისს მიმზიდველობითს ძალასა და გავლენას.

შეიძლება ოდესმე დაძველდეს თვალთა-ხედვის ისარი შილლერისა, მაგრამ, ვიდრე ქვეყნად ზნეობა არსებობს, არ დაძველდება მისი შეხედულება კაცის ღირსებაზე, არ დასჭკნება მისი ტურფა პოეზია. პოეზია შილლერისა—პოეზიაა სიჭაბუკისა. მისს ლექსებში ყველაფერი გხიბლავთ: აზრიც, გრძნობაც, დასურათ-ხატებაც და ხან ნაზი და ხან ძლიერი, მაგრამ ყოველთვის აღფრთოვანებული—ენაც. ცხოვრება და ქვეყანა, რომელიც მის ლექსებშია აწერილი, მით უფრო მშვენიერია, რომ გვაგონებენ იმ ნეტარ დროს სიჭაბუკისას, როდესაც ჩვენა გვწამდა ხელ-შეუხებლობა და შეურყეველი სიდიადე სიკეკლუცისა. ღვაწლი შილლერის პოეზიისა ის არის, რომ გერმანიის ახალგაზდობა მარად გულით ატარებს რწმენა-სიყვარულს სიმშვენიერისა და იდეალებისადმი. დღესაც კი, როდესაც ახალგაზდობა უფრო ამ ქვეყნიურის, მიწიერ გულისთქმითაა გატაცებული, სიყვარული პოეზიისადმი მათ გულში არა ჰქრება, რასაც სადღესასწაულო სამზადისიც ამტკიცებს. და, აი, ეს დიდებული პოეტი, რომლის თხზულებებიც შეიცავს ამდენ სიმშვენიერეს, ამდენ აზრებს, აქამდე ქართულ ენაზე არ არის თარგმნილი! გარდა ორის დრამისა, რომელიც თეატრისათვის არის ნათარგმნი, შილლერის სხვა არც ერთი ნაწარმოები ქართულად არ მოიძებნება მაშინ, როდესაც სომხურად უკვე გადათარგმნეს, როგორც მისი დრამები, ისე ყველა ლექსებიც.

ამ დიდებული მწერლის სიკვდილის შემდეგ ასის წლის შესრულების დღე, იმედია, მოაგონებს ქართველ პოეტებს მათ მოვალეობას მსოფლიო ლიტერატურისადმი, რომლის წიაღიც მათ მიერ თითქმის ხელ-უხლებელია. შილლერის წვრილი ლექსები ქართველთა უმრავლესობისათვის უცნობია და მისი თარგმნა სწორედ ამ ლექსებით უნდა დაიწყოს. ეს დიდათ სასარგებლო და კეთილშობილური საქმეა, მით უმეტესს, რომ ამ ბოლო დროს მეტად გამრავლდნენ ქართველი მეშაირეები და მათი უმნიშვნელო ლექსები ავსებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. უფრო უკეთესი არ იქნება, სამშობლო ლიტერატურა გაამდიდრიან უცხოელთა გენიოსს მწერალთა თარგმანებით, ვიდრე ტანჯვით ჰკვერავდნენ თავისს უშინაარსო, ფუქსავატ ლექსებს!..

ყოველ ხალხის პოეზიაში დადგება ხოლმე ასეთი ხანა, როდესაც მელექსეობას ხვავი აღარა აქვს. ეჭვი არ არის, ქართულ პოეზიასაც დაუდგა ეს უხვავობის ხანა. წარსულ საუკუნის ნახევარში ქართველებს მთელი წყება თვალსაჩინო პოეტებისა ჰყავდად და ახლა კი ახალგაზდებში,—მათი სწორი აღარავინა ჩნდება. ამიტომ ყველა იმას, ვინც კი თავისში გრძნობს მცირეოდენ პოეტურ ნაპერწკალს, ვურჩევ ხელი მიჰყოს ევროპის დიდებულ პოეტთა ნაწარმოების თარგმნას. ეს შეჰქმნის ნაყოფიერ თარგმანთა ხანას და შეიძლება მერე ისევ დადგეს დრო ორგინალურ თვალსაჩინო შემოქმედებისა.

იმგვარ უშინაარსო ლექსების წერას, რომლებითაც, ეს ათ წელიწადზე მეტია, ივსება ქართული ჟურნალ-გაზეთობა,—არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ამიტომ კვლავ ვიმეორებ: ბატონნო, ახალგაზდა პოეტნო! ხელი მოჰკიდეთ თარგმნას, შეისწავლეთ ეს ხელოვნებ
იფიქრეთ ქართულის ლიტერატურის გამდი
ბაზე და ნუ ჰფიქრობთ პირად დიდებაზე, ვ
დან ეს დიდება თქვენზე ძლიერ და ძლ
შორს არის

არტურ ლეის

ამომრჩეველთა მომზადება ინგლის

სადაც თვით ხალხის ხელშია სახელმწიფო
მეების მართვა და გამგეობა, იქ ხალხის წარ
მადგენლებს და მათ ამომრჩევლებსაც საზოგ
საქმეების საფუძვლიანი გაცნობა მოეთხოვებ
ხალხმა უნდა აირჩიოს წარმომადგენლებ
წარმომადგენლებმა უნდა განაგონ ქვეყანა,—
ხელშია სახელმწიფოს კანონმდებლობა, და
ტომ მათ ხელში გადადის ხალხის ბედი და
ბალი.

როგორ მოიქცეს ხალხი? ვისი ამორჩევა ი
ვოს?

ათასი სხვადასხვა მიმართულების ადამიან
პარეზზე გამოდის და ცდილობს ხალხის წარ
მადგენლობა მიიღოს,—სხვადასხვა რასმე ჰპირ
ბა საზოგადოებას.

აგერ, ერთი აცხადებს,—ვეცდები განსაზღვ
კანონმა ქარხნებში მუშის დამოკიდებულება
რონთან, ვეცდები ამ საქმეში გავერიო კან
დებლობა.

მეორე უმტკიცებს საზოგადოებას,—არ ვ
კანონს მიენიჭოს ასეთი უფლება, ადამიანი
ვისუფალი არსება უნდა იყოს და მუშის
მოკიდებულება პატრონთან მათ პირად მორ
ბაზე უნდა იყოსო დამოკიდებული.

ერთი აცხადებს—ეროვნულ საკითხის მოუ
რიგებლად არ შეიძლება სახელმწიფოში ხალ
მშვიდობიანი განვითარება.

მეორეს გული მოსდის ამაზე და ამბობს,
ჩვენი საქმეა ეროვნული საკითხი, ეს კერძო პ
თა პირადი საქმეა, კანონის გარევა ეროვნ
საკითხის გადაწყვეტაში არ არის სასურველი

ერთი ცდილობს კანონმდებლობის საშუა
ბით ეკლესიის გაძლიერებას, მეორე კიდევ
რობს ამაზე და ითხოვს—სახელმწიფო საზოგად
ჩამოეშოროს ეკლესიას და სარწმუნოება ყოვ
ადამიანის კერძო საქმედ გამოაცხადოს.

ამომრჩეველი ისმენს მათ სიტყვებს და უ
გადასწყვიტოს ამა თუ იმ პირის არჩევა, ამა
იმ წარმომადგენლის აზრს უნდა მიემხროს, უ
გადასწყვიტოს თავისთვის, რომელი აზრი უფ
სამართლიანი ჰგონია.

და, აი, აქ ხდება აშკარა, რომ ამ კითხვ
გადასაწყვეტად არის საჭირო მომზადება, ა
საჭირო ცოდნა, რომელსაც არ აძლევს სახალ
სასწავლებელი, გიმნაზია და უნივერსიტეტი.

ის ცოდნა, რომელსაც სასწავლებელში იძ
ადამიანი, ცხოვრების მწვავე კითხვებს არ შე
ბა პირდაპირ და ამიტომ საჭიროა საზოგადო
ამ კითხვების გადასაწყვეტად მოემზადოს რ
ნაირად.

შეიძლება, რასაკვირველია, კრებებში გრძ
ბიერი სიტყვები მოისმინოს ხალხმა და აჰყ
გრძნობას, იმ მოლაპარაკეს მიჰყვეს, რომელ
უფრო გაიტაცებს მსმენელებს. მაგრამ ას
მოქცევა ბოლოს და ბოლოს ხალხისთვის სა
რალო იქნება, ვინაიდან გრძნობაზე დამყარე
ლი საქმიანობა ვერაოდეს ვერ ეღირსება ს
ვიდრეს.

საჭიროა ცოდნა, საჭიროა ცხოვრების გ
ნობა, ფაქტები და ყოველგან, სადაც ხალ
წარმომადგენლობა არის შემოღებული, სად
ხალხი, მონობას მოშორებული, საკუთარ საქ
ბატონი თვითონვე არის, იქ ხალხის მეთაურ
ცდილობენ გაავრცელონ ხალხში საჭირო ცო
ნა და საზოგადო საქმეების გაგება.

კერძო კრებები, საჯარო ყრილობები, ლე
ციები, წიგნების ბეჭდვა, ჟურნალ-გაზეთე
გამოცემა, ამომრჩევლებთან მუდმივი ურთი-ე
თობა,—ეს არის სასწავლებელი, სადაც სწ
ლობს ყოველივე მოქალაქე, სადაც იგი ემ
დება წარმომადგენელთა ამოსარჩევად.

ეს საქმე ყველაზე უკეთესად არის მოწყო
ლი ინგლისში,—და იქ საქმის სათავეში სდგან
განსაკუთრებული წრეები. ამ წრეებს ხშირ
პარტიული ხასიათი აქვს, მაგრამ არის ისე
წრეებიც, სადაც სხვადასხვა მიმართულების ხა
ხი იღებს მონაწილეობას.

პარტიების გარეშე წრეებში ყველაზე უფ
ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო ლიგა, რომ
ლიც ითხოვდა ხორბლეულობაზე ყოველ-გვ
ბაჟის მოსპობას და რომელსაც მეთაურობ
კობდენი. ეს ლიგა, 1836 წ. დაარსებული, და
ხურა 1846 წ. დაიხურა იმიტომ, რომ ბოლ
მიაღწია დასახულ მიზანს.

ათი წლის განმავლობაში დაუღალავად მო
მედებდა კობდენის ლიგა. ინგლისის სხვადასხ
კუთხეში მისი განყოფილებები დაარსდა, ყვე
გან ლიგის წევრები აწყობდნენ საჯარო კრებებ
კითხულობდნენ ლექციებს. თვით კობდენი
მისი თანამოაზრეები მოგზაურობდნენ ინგლის
და საჯაროდ ჰქადაგობდნენ თავისუფალ ვაჭრ

ბის საჭიროებას. 1843 წ. 500 კაცი ჰყავდა ლიგას დაქირავებული მხოლოდ წიგნაკების გასავრცელებლად ხალხში. ყოველსავე საშუალებას ხმარობდა ლიგა იმისთვის, რომ დაემტკიცებინა ხალხისთვის თავის აზრების სიმართლე,—და ბოლოს მიაღწია მიზანს, ხალხმა ირწმუნა ლიგის სიტყვები, ირწმუნა იმიტომ, რომ ლიგის-მიერ გავრცელებულ წიგნების და საჯარო ლექციების საშუალებით შეიძინა საჭირო ცოდნა იმ კითხვის გადასაწყვეტად, თუ რა არის ხალხისთვის უფრო საჭირო—მფარველობითი სისტემა და ბაჟები, თუ ვაჭრობის თავისუფლება.

კობდენის ლიგის მაგალითით აშკარა ხდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამომრჩევლებთან ურთიერთობას, საჯარო კრებებს, ფაქტებით დასაბუთებულ წიგნების გავრცელებას, და ამიტომ ახლა ყველა მიმართულების პირი ცდილობს ამავე საშუალებით გაავრცელოს თავისი აზრები ხალხში და ცალკე ორგანიზაციებს აარსებს.

ასეთია, მაგ., „სარწმუნოების განმანთავისუფლებელი საზოგადოება", „ეკლესიის დამცველი კავშირი", „შეერთებულ სახელმწიფოს კავშირი", „მედუქნეთა ასსოციაცია" და სხვადასხვა.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ ლიგების, ასსოციაციებისა და კავშირების გავლენა მავნებელია, ამომრჩეველი თავის პარტიის მეთაურთა ბრმა მიმდევარი ხდებაო, ეჩვევა ყოველივე საზოგადო მოვლენას იმ თვალით შეხედოს, როგორც უჩვევებენ მეთაურები. მაგრამ ასეთი შიში არ არის საფუძვლიანი: ერთსა და იმავე ადგილას სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები ამტკიცებენ საჯაროდ თავიანთ შეხედულების სიმართლეს და ხალხი, ამომრჩეველი, მათ ყურს უგდებს და ემხრობა იმას, ვისი ნათქვამიც უჯდება ჭკუაში.

სწორედ ეს გარემოება, სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთაგან საჯაროდ ლაპარაკი კრებებში, სხვადასხვა მიმართულების გამომხატველ წიგნების გავრცელება,—სასწავლებლად ერგება ხალხს, ვინაიდან მხოლოდ ასეთ სხვადასხვაობის არსებობის დროს შეუძლია ამომრჩეველს განივითაროს გონება და შეეჩვიოს საზოგადო კითხვების გარკვევას.

ხალხისთვის საჭიროა საპოლიტიკო და საზოგადო კითხვების გამოსარკვევად საჯარო კრებები და ამიტომ მოითხოვს ყველა კრებების თავისუფლებას.

მხოლოდ კრების, შეკავშირების თავისუფლების მოპოვებით შეიძლება მოახერხოს ადამიანმა ხალხის მომზადება წარმომადგენელთა ამოსარჩევად.

ამ წრეების მოქმედებას მხოლოდ სააგიტაციო მიზანი არა აქვს. სააგიტაციო კრებაზე მოლაპარაკე ცდილობს გაიტაცოს მსმენელი, მის გრძნობას მიჰმართავს, საბრძოლველად ამხედებს.

ამნაირ სააგიტაციო მოქმედებას მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა აქვს.

ხალხის განვითარებისთვის მკვიდრ ნიადაგის მოსაპოვებლად არის საჭირო ხალხის განვითარება, ხალხში ცოდნის გავრცელება, ამომრჩევლის მომზადება საზოგადო ცხოვრებისთვის.

და იქ, სადაც ხალხს საარჩევნო უფლება აქვს მინიჭებული, ასეთი მომზადება საჭირო ხდება ყველასთვის.

*

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

24 აპრილი

ქალაქი, 24 აპრილი. სატეხნიკო საზოგადოების განყოფილებაში კამათი ჰქონდათ საზოგადო სოციალურ პირობების შესახებ. წესდების ძალით, გარეშეებმა სიტყვა მოითხოვეს. თავმჯდომარემ ნება არ დართო. მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება, რომელსაც წევრებმა მხარი დაუჭირეს დარბაზიდან დემონსტრატიულად გამოვიდა. მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ბელოსტოკი, 23 აპრილი. შეკერილ ტანისამოსის მაღაზიებსა და სამკერვალოებში დაითხოვეს მუშები, ვინაიდან არსებულ პირობებში სახელოსნოების გახსნა შეუძლებელი არისო. მეფურნეებიც ამასვე სჩადიან. წუხელის ერთ უმთავრეს ქუჩაში სამი უცნობი კაცი მივარდა შეკერილ ტანისამოსის მოვაჭრეს ელინს და რევოლვერიც ესროლეს. ელინი დაიჭრა, უცნობები გაიქცნენ.

სევასტოპოლი, 23 აპრილი. ოდესასთანა და ყირიმის ნაპირებთან გემების წესიერი მიმოსვლა დაიწყო. გემებზე ჯერ-ჯერობით ჯარის კაცები არიან მეზღვაურებად.

ბლაგოვეშჩენსკი, 24 აპრილი. ქალაქში მშვიდობიანობაა. დროებით შეჩერებულია ადგილობრივ გაზეთების გამოსვლა.

პარიზი, 23 აპრილი. საპოლიტიკო წრეები ირწმუნებიან, ინგლისი არაბებს თუ ეხმარებოდა, მიზნად ჰქონდა შეეშალა ხელი გერმანელების გაძლიერებისათვის აზიაში და არა რუსეთის წინააღმდეგობა.

სტამბოლი, 23 აპრილი. ტყუილია ის ცნობა, ვითომც ვანში მყოფ ოსმალეთის ჯარებში არეულობა დაწყებულიყოს.

მოსკოვი, 22 აპრილი. ორეხოვში 33 სახლი დაიწვა. ზარალი ნახევარ მილიონ მანათზე მეტია.

რიგა, 22 აპრილი. გერდერის მოედანზე, ლუთერანგთა პასტორის სახლის წინ, შეგროვდა მართლ-მადიდებელთა გროვა,—ყველა დემონსტრატიულად ითხოვდა დაუყოვნებლივ ლუთერანგობაში გადასვლას. პასტორმა დროებით გადასდო ამ მოთხოვნის შესრულება, ჯერ უნდა გამოგცადოთ სარწმუნოებაშიო.

ოდესსა, 22 აპრილი. პურის მცხობლებისა და მუშების წარმომადგენლები ვერ რიგდებიან. უპურობას ქალაქში ფასების მომატება მოჰყვა.

ბაქო, 22 აპრილი. მოსამსახურეთა გაფიცვა დაიწყო. გაიფიცნენ სადგ. ბაქოსა და ბალაჯარაში.

ერევანი, 23 აპრილი. დაიწყო მოსამსახურეთა გაფიცვა.

კოვნო, 22 აპრილი. ასანთის ორ ქარხანაში დაიწყო გაფიცვა.

კრემენჩუგი, 23 აპრილი. კრიუკოვში დაიწყო ურიების საწინააღმდეგო არეულობა, რომელიც მალე მოსპო ადმინისტრაციამ.

ვიბორგი, 23 აპრილი. პოლიციაში 22 აპრილს ჰელსინგფორსიდან გამოგზავნილი ამანათი მიიღეს კომისარ გროსის სახელზე. ამ გროსს გუბერნატორის მოკვლის განზრახვის შესახებ მინდობილი ჰქონია გამოძიება. ამანათში აღმოჩნდა საცვალი, ტანისამოსი და ყუთი. ყუთი რომ გააღეს, ნელა იფეთქა რაღამაც. თურმე ყუთში დინამიტი ყოფილა და მისი თავისთავად ამაფეთქებელი მოწყობილობა. დიდი აფეთქება არ მომხდარა, ვინაიდან ეს მოწყობილობა წამხდარა გზაში. ექსპერტების სიტყვით, ამანათი რომ აფეთქებულიყო, მთელს შენობას დაანგრევდა.

პეტერბურგი, 24 აპრილი. გაზეთების სიტყვით გაზ. „ნოვოსტის" რედაქტორი ნოტოვიჩი, ბეჭდვითი სიტყვის მთავარ-გამგეობის წინადადებით, ბრალმდებელმა პასუხის გებაში მისცა,—გაზეთში ისეთი წერილები დაჰბეჭდა, რომლებსაც მიზნად ჰქონდა არსებულ წესწყობილების დარღვევაო.

კალიში, 24 აპრილი. ეს მეორე დღეა ისევ სიწყნარეა ქალაქში.

23 აპრილი.

ყაზანი, 23 აპრილი. იურიდიულ საზოგადოების კრებაზე პროფესორმა ივანოვსკიმ წაიკითხა მოხსენება, საჭიროა დაუყოვნებლივ შესდგეს კლასთა მიერ არჩეულ ხალხის წარმომადგენელთა კრებაო.

ნახიჩევანი-დონზე, 23 აპრილი. ხმოსნებად საბჭოში არჩეულ იქმნენ 27 კაცი, 53-ს მაგივრად, რადგანაც დონის-როსტოვში სომხები გააშავეს. რუსის კანდიდატებიც გაშავებულ იქმნენ.

მოსკოვი. დიდის იპპოდრომის მეჯინიბეები გაიფიცნენ და სადგომების გაფართოებას თხოულობენ. ამბობენ, კვირას დოღი არ იქნებაო.

კალიში, 23 აპრილი. გუშინ, სადამოს შვიდ საათიდან, მაღაზიები დაკეტა. სახლების ალაყაფის კარები მთელი დღე დაკეტილი იყო. კოსტელებსა და სინაგოგებში სამღვდელოების მიერ დანიშნული მაისის სადამოს ლოცვა არ ყოფილა. სადამოზე ქალაქი დაყრუვდა. შეტაკება არ ყოფილა.

პეტერბურგი. „ბირჟევ. ვედომოსტის" სიტყვით, ბულიგინის კომისიის მუშაობა იმიტომ შეჩერდა, რომ კომისიის მინდობილობით, პროფესორ ივანოვსკის მიერ შემუშავებული საბჭოს მოწვევის გეგმა კარგი ვერ გამოდგაო. გეგმის შემუშავება სხვას მიანდეს.

ლონდონი, 22 აპრილი. საზღვაო დიდი ალღუმი, რომელიც იმ თვეში უნდა მომხდარიყო, ოფიციალურად გადადო.

პეკინი, 23 აპრილი. პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე იაპონიაში ფასებმა ძალიან აიწია. მდგომარეობა საგულისხმოა. იაპონიის პრესსის ჩივილი სიძვირისა გამო იაპონიის თანამგრძნობ ინგლის-ჩინეთის პრესსას ძალიან აღონებს.

სიდნეი. ინგლისის კორვეტები „კადმუს"-ი და „კლიო" ავსტრალიის წყლებიდან ჩინეთის წყლებში გადაიყვანეს.

სტამბოლი, 23 აპრილი. ალბანეთში დემონსტრაციის გამო, იპეკის მუტესარიფი ხასან-ფაშა გადააყენეს. მის ნაცვლად დანიშნეს კეპრიულუს ყოფილი კაიმაკამი მაჰმედ-ნეჯიბი.

კიევი, 23 აპრილი. სოლერასთან საბრძოლველად სასანიტარო კომისიამ დაადგინა, კიევ-პოლტავის რკინის გზა დაათვალიეროს.

ცარიცინი, 23 აპრილი. ნავთსადგურში მუშების გაფიცვა დასრულდა 22 აპრილს. მუშებს მოუმატეს ხელფასზე 38 პროც.

სუსუმენჩუგი, 23 აპრილი. სოფელ ჟდანოვსკას გლეხები 21 აპრილს დაეცნენ გრაფ ბობრინსკების მამულს, დასწვეს თივა და სხ.

ბელოსტოკი, 23 აპრილი. გაიფიცნენ თერძები.

ლოძი, 23 აპრილი. გოფრისტრის ქარხანაში 400 მუშამ ხელფასის მომატება მოითხოვა და სამუშაო დღის შემცირება. რაკი პატრონმა უარი შეუთვალა მუშები შევიდნენ ქარხანაში და განაცხადეს, აქვე დავრჩებით, სანამ ჩვენსას არ გავიტანთო. დღესაც ქარხანაში არიან მუშები.

რეველი, 23 აპრილი. 50 თერძმა გუბერნატორს სთხოვა მათ მდგომარეობის გაუმჯობესება.

უფა, 24 აპრილი. გუშინ ზოგიერთმა ნოქარმა თავის მოთხოვნილების მისაღწევად ძალადობას მიჰმართა, მაგრამ პოლიციამ აღადგინა მშვიდობიანობა.

მოსკოვი, 24 აპრილი. სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი დაარსდა.

როსტოვი-დონზე, 24 აპრილი. თათრებს უნდოდათ მუშაობის დაწყება, მაგრამ რუსმა მუშებმა არ დაანებეს.

ვარშავა, 24 აპრილი. პოლონელ სოციალისტების პროკლამაცია იწვევს მუშებს ქარხნებში მუშაობის დასაწყებად.

ყაზანი, 23 აპრილი. 133 მოსწავლე იუნკერს ვადამდის მისცეს აფიცრობა,—უმეტეს ნაწილად ამათ კავკასიაში ჰგზავნიან.

პეტერბურგი, 24 აპრილი. „ნოვოე ვრემია"-ს გარდა, დანარჩენ უმთავრეს გაზეთების გამომცემლებმა გადასწყვიტეს, 24 აპრილიდან კვირაობით და უქმე დღეებში დასვენება დაწესდეს. უქმეების შემდეგ საღამოობით გამოსულ-გაზეთებში მოთავსებული უნდა იყვეს მხოლოდ მთავრობის განკარგულებანი, დეპეშები და გამოსადეგ ცნობათა განყოფილება. ასოთ-ამწყობთა წარმომადგენელნი ამ დადგენილებაზე დასთანხმდნენ.

მოსკოვი. თავად-აზნაურობის წინამძღოლთა დღევანდელს კერძო თათბირზე შეიყარა ოცი კაცი. ყველა კრებას ერთი ჟურნალი ექმნება. გაარჩევენ საკითხს გოფმეისტერს ბულიგინის კომისიაში არჩევნების წესის შესახებ.

პეტერბურგი. გაზეთ „კასპი"-ის რედაქტორ-გამომცემელს თოფჩიბაშევს კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო, გამოსცეს ბაქოში გაზეთი თათრულ ენაზე, სახელად „გაიატ" (ცხოვრება). გაზეთი „გაიატი" გამოვა მაისის შუა რიცხვებში სატახტო ქალაქების გაზეთების პროგრამით.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

24 აპრილი.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

გუნჯულინი, 23 აპრილი. ხმა დადის, იაპონელებმა ჩვენ მარჯვენა ფრთესაკენ წამოიწიესო და ვითომ ძინძიატუნთან შეტაკება მოსალოდეთ.

პარიზი. ოფიციალურ მინდობილებით ნიუ-იოკრში მყოფი იაპონელი კანეკო შეერთებულ შტატებს ურჩევდა მთელ აზიაში გაავრცელეთ ამერიკისა და ინგლის-საკსონური იდეები და აგრეთვე იყოლიეთ დიდი ფლოტი კარ-ღიაობის პრინციპის დასაცველად და ჩინეთის დანაწილების თავიდან ასაცილებლადაო.

ტოკიო (ბერლინით). იესსოს კუნძულთან შენიშნეს რუსის სამხედრო გემი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. იაპონიის იურისტები იმ აზრისანი არიან, რომ აზიის წყლებში მყოფი, საფრანგეთის ყველა სავაჭრო გემები შეპყრობილ უნდა იქმნენ იმის გამო, რომ საფრანგეთმა რუსეთის ესკადრას კოხინხინის ნაპირებთან ყოფნის ნება მისცაო. ხოკკაიდოს დასავლეთით, სუტცუსთან, გაშლილ ზღვაში რუსებმა გადასწვეს იაპონიის აფრიანი გემი, დაატყვევეს მისი კაპიტანი და მიიმალნენ.

ტოკიო. ხოკკაიდოს მახლობლად რუსებისგან გადამწვარ გემს „იავატამარუ" ერქვა და 198 ტონისა იყო. ამ გემს რომ შეხვდნენ, რუსებმა მის კამანდას უბრძანეს, გემისთვის თავი მიენებებინათ, მერე გემს ნავთი გადაასხეს და ორი ყუმბარა ესროლეს, რის გამოც გემს ცეცხლი წაეკიდა. რუსებმა ტყვედ წაიყვანეს გემის კაპიტანი და წავიდნენ. კამანდის დანარჩენი ნაწილი ხოკკაიდოს ნაპირებზე გადავიდა. ამ ამბავმა შეაძრწუნა ახლო-მახლო ადგილებში მცხოვრები იაპონელები ეშინიათ იაპონიის ნავოსნობის ხელის შესაშლელად რუსეთის კრეისერები ვლადივოსტოკიდან არ გამოსულიყვნენ.

ლონდონი. გაზეთებში სწერდნენ,—ჯავშნიან გემზე „ნიუ-ცეილონზე", რომელიც პორტსმიტში გაჩერებული, ერთი 6 დიუმიანი ზარბაზანი გამსკდარი აღმოჩნდა. ეს ზარბაზანი ხმელეთზე გადმოიღება შესამოწმებლად.

ნიუ-იორკი. ბარონმა კანეკომ ვაშინგტონში სთქვა: „იაპონელები არ დასთანხმდებიან, რომ ამერიკამ აიღოს ხელი ფილიპინებზე. ომიანობის შემდეგ ამერიკა და იაპონია ერთმანეთში ეკონომიურ ხასიათის ხელშეკრულობას დასდებენ: ჩვენ უკვე გამორკვეული გვაქვს მომავალი დამოკიდებულება ამერიკასთან. აზია ჩვენ ხელში იქმნება. მხოლოდ ამნაირად შეიძლება ჩინეთში თავისუფალი ვაჭრობის დამყარება და ჩინეთის მთლიანობის შერჩენა. იაპონელები მეგობრულად უხვდებიან ამერიკის ფლოტს, ვინაიდან ამერიკის დროშა არის აგნლო-საქსონიის ცივილიზაციის წარმომადგენელი. კანეკოს სიტყვა აღტაცებულის ტაშისკვრით დააჯილდოვა დამსწრე საზოგადოებამ.

ტოკიო, 23 აპრილი. ხმა დადის. 22 აპრილს ვლადივოსტოკის ოთხმა გემმა მიიტანა იერიში ხოკკაიდოს ახლობლად ერთ იალქნიან გემზე, ცეცხლი მოუკიდა მას და უკანვე გაბრუნდა.

პარიზი, 23 აპრილი. „მატენი" ამბობს, განგებ ცდილობენ არ გამოამჟღავნონ, თუ სად არის როჟესტვენსკის ესკადრა, რომ ამით უსიამოვნება გამოიწვიონ. რუსების ადმირალს საფრანგეთის საზღვრებში მისი თავი სამშვიდობოში მიაჩნია. ადმირალი ძანკიერი მოაწყობს საქმესო.

ბერლინი, 13 აპრილი. «ლოკალ-ანცეიგერს» ატყობინებენ ტოკიოდან, კუნძულ იეზოს ახლობლად გამოჩნდა რუსების სამხედრო გემი, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიდიოდაო.

ტიანძინი, 23 აპრილი. ნამდვილ წყაროებიდან იუწყებიან, იაპონელები მაისის შუა რიცხვებში უფროსებათ დანიშნავენ გენერლებს ხურაგუშსა და ტაგენუშს, რომლებიც ამჟამად ხიროსაკაში იმყოფებიანო.

ლონდონი, 23 აპრილი. იაპონიის საელჩომ ცნობა მიიღო, იაპონიის მეხუთე შინაგან სესხზე ხელის მოწერა 490 მილიონი იენამდე ავიდაო.

ტოკიო, 24 აპრილი. იუწყებიან, ოიამას ორივე ფრთემ ძალიან წინ წაიწიაო.

სიტიაძი, 23 აპრილი. 21 აპრილს, დასავლეთიდან ზარბაზნების სროლა ისმოდა. ჩენდუ-ლიციადას გზაზე რუსის და იაპონელების რაზმებს შეტაკება მოუხდათ. როგორც ამბობენ, იაპონელებს, ამ უკანასკნელ ხანებში, მანჯურიაში ბლომად გადაჰყავთ ჯარი და გადააქვთ სურსათიო. ჩინელები ამბობენ, იაპონელების კოლონნა ფინხუანჩენისა და საიმაძის ჩრდილოეთით მიდისო.

ბერლინი, 23 აპრ. „ლოკალ-ანცეიგერ"-ი იუწყება, იაპონელების ჯავშნოსანი „იაშიმა" დალნისთან რუსის ნაღმს დაეჯახა და ნაპირზე გადმოვარდაო. საადმირალო გემ „მიკაზა"-ს პორტ-არტურთან ბრძოლაში იაპონელი ნაღმი მოხვდა და დაზიანდაო. ჯავშნოსანი „შიკეშიმა" დაზიანდა და დეკემბრამდის ნავთსადგურში იყოო; ჯავშნოსან «ფუიამა»-ს პალუბა დაუზიანდა და იანვრამდის ნავთ-სადგურში იყოო. კრეისერები ძალიან დაზიანდნენ 28 ივლისის ბრძოლაში. ტოგოს აქვს საჭიროდ შეკეთებული 4 ჯავშნოსანი. რუსებს კი—შეიძი იაპონიას ზღვაზე გამარჯვების იმედი ნაკლებადა აქვს.

შანჰაი, 23 აპრილი. იაპონიის კრეისერები დღე გამოშვებით დადიან ამოიში. ამოისთან ვაჭრობა თითქმის შეწყვეტილია. თავზარ-დაცემული ჩინელები ქალაქს თავს ანებებენ.

სინგაპური. დატუსაღებულს გორევიჩს, რომელსაც ჯაშუშობასა სწამებდნენ, სამი თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს. სამხატვრო იარაღის ტარებისთვის კი—250 დოლლარი ჯარიმა. თავდებად მოსთხოვეს 1,000 დოლლარი.

ტოკიო, 23 აპრილი. გუშინ ხოკკაიდოს დასავლეთით ვლადივოსტოკის ესკადრის ოთხი ნაღმოსანი სუტცუს ახლო გამოჩნდა, დასწვეს

ფელეტონი

დაღესტნის ავ-კარგი.

დაღესტნის მცხოვრებნი, რომელთაც ჩვენ ლეკებს ვუწოდებთ, თავის პოლიტიკურ წარსულით, ზნე-ჩვეულებით, რჯულით, ტან-საცმელით და სხვადასხვა მრავალგვარ ნიშნებით ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან. ერთად-ერთი განსხვავება ეს არის, რომ ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ. ზოგიერთ მკვლევართა აზრით, როგორც, მაგალითად, ე. კონდრატენკო არის, დაღესტანში ბინადრობს ოც-და-რვა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თემი. ამ რიცხვში მიღებული არ არიან ჩამოსახლებულნი,—რუსები, სომხები, სპარსელები და ებრაელები. მკვლევართა უმრავლესობისაგან მიღებულია, რომ დაღესტანში ცხოვრობს შვიდი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თემი. ეს თემები შემდეგნი არიან: ავარლები, დარგელები, კაზიკუმუხლები, ტაბარანლები, ანდიელები, კიურინები და კუმიკები, რომელნიც თათრულ ენაზე ლაპარაკობენ. თითეულ თემს თავის განსაკუთრებული სალაპარაკო ენა აქვს. ამ ენებს კიდევ, თათრულს გარდა, თავისი კილოკავები აქვთ, რომელნიც, ცოტად თუ ბევრად, განირჩევიან ძირეულ ენისაგან. ყველაზე უფრო ბევრი კილოკავები ანდიურ ენაში ითვლება, სახელდობრ—რვა. ლინგვისტიურად ჯერ ეს კითხვა ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული და ზემოდ მოყვანილ ცნობებს მხოლოდ დაახლოვებით მნიშვნელობა აქვს. ყველაზე უფრო მრავალ-რიცხოვან თემს შეადგენენ მთებში ავარლები და ზღვის პირად კუმიკები. ავარულ ენაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თემებიც.

მე-*VIII* საუკუნიდან, როდესაც არაბებმა დაიპყრეს დაღესტანი, აქ ისლამთან ერთად გავრცელდა არაბების ენა და კულტურა. ადვილად მისახვედრია, რომ კულტურულად განუვითარებელი თემები, გაბნეულნი მიუვალ მთებში, რის გამო განცალკევებულად ცხოვრობდნენ, სრულიად დაემორჩილნენ არაბებს, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულადაც. ეს უკანასკნელი გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ იგი მას შემდეგაც ძალაში დარჩა, როდესაც არაბების პოლიტიკური გავლენა დაღესტანში სრულიად მოისპო. ამ სახით არაბული ენა სრულიად გაბატონდა დაღესტანში და ხალხიც შეეჩვია მას.

მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ლეკებში აღიძრა სურვილი სამშობლო ენაზე წერა-კითხვის შექმნისა არაბულ ანბანის დახმარებით, ვინაიდან საკუთარი ანბანი არ მოეპოვებოდათ. ამ სურვილის განხორციელება ერგო ავარელთა თემს, ყველა დანარჩენ თემებზე უფრო მრავალ-რიცხოვანს და პოლიტიკურად უფრო გავლენიანს, რომლის ენა გავრცელებული იყო სხვა თემებშიაც.

პირველი პირი, რომელმაც სამშობლო ენაზე იწყო წერა, იყო ალი-ყუზა-ტლეი-სერული. არაბული ანბანის საშუალებით, ალი-ყუზა სწერდა ავარულად ყორანის სხვადასხვა ბუნდოვან აზრების ახსნას. ალი-ყუზა, რომლის ნაწერებს ეხლაც დიდი გასავალი აქვს დაღესტანში, გადაიცვალა 1834 წელს. მეორე ავარელმა ყადი-მაჰმედ-სუგრატელმა გადათარგმნა სამშობლო ენაზე რამოდენიმე თხზულება საღმთო წერილიდან. უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე თავის ქვეყანაში განთქმულს ლაჩინილაუს, რომელიც შამილის მასწავლებელი იყო არაბულ ენაში. ლაჩინილაუმ შეადგინა ავარული ანბანი არაბულ ანბანის დახმარებით და ბევრსაც სწერდა სამშობლო ენაზე. 1850 წელში ავარულ ენის ანბანი ხელახლა შეადგინა ბ-ნმა ხანდიევმა. ეს უკანასკნელი რუსეთის სამსახურში ითვლებოდა.

თვით შამილის უფროსმა შვილმა ჯემალედინმა შეიგნო, რომ ხალხის ბედნიერებისათვის უსათუოდ საჭირო იყო სწავლა-განათლების გავრცელება სამშობლო ენაზე. მისი თხოვნითა და მინდობილობით, შამილის ოჯახთან დაახლოვებული პირი ჰაჯი-ალიმ შეუდგა სამშობლო ენაზე ყორანის თარგმნას. ეს ის დრო იყო, როდესაც დაღესტანს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა რუსებთან. თვით შამილი წინააღმდეგი არ იყო—ასეთ გაჭირვებულ დროს ეზრუნათ სწავლა-განათლებისთვის, მხოლოდ ჰაჯი-ალის ხანდახან ჰკითხავდა: უმჯობესი არ იქნება, რომ მთელი ჩვენი ძალღონე მტრის დამარცხებას მოვანდომოთ და ყორანის თარგმნას ხომ მერეც მოვასწრებთო. გაამტყუნება მერმე შამილს ასეთი აზრი? შამილი ჰკარგავდა იმ დროს თავისუფლებას და მის სამშობლოს უძალდენ დედა-მიწის ზურგიდან აღგვას...

ამნაირად, როდესაც რუსეთი დაეპატრონა დაღესტანს, მასში უკვე ღვივოდა განათლების ნაპერწკალი: საუკეთესო მამულიშვილთ შეგნებული ჰქონდათ სამშობლო ენის საჭიროება და ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების აუცილებლობა. საძირკველი ჩაგდებული იყო და საჭირო იყო მხოლოდ, რომ რუსეთს გამოეჩინა გამჭრიახობა და სწავლა-განათლების გავრცელებას შესდგომოდა იმ გზით, რა გზითაც ის თვით ერმა საუკეთესოდ სცნო. მაგრამ სად გამოიჩინა ასეთი გამჭრიახობა, რომ აქ გამოეჩინა!..

დაღესტანში სწავლა-განათლების გავრცელების საქმით ძრიელ დაინტერესდა მთელ კავკასიაში ცნობილი ეტნოგრაფი და ლინგვისტი პ. უსლარი, რომელმაც დიდის ენერგიით მოჰკიდა საქმეს ხელი. მან განიზრახა წერა-კითხვის შექმნა არა მარტო ავარლებისთვის, არამედ სხვა წვრილ თემებისთვისაც. როგორც უსლარის წერილებიდან სჩანს, მის განზრახვას ბევრი წინააღმდეგი ჰყავდა, რომელნიც სრულიად საჭიროდ არ სცნობდნენ ადგილობრივ ენებზე წერა-კითხვის საქმის მოწყობას. მათ სურდათ თავიდანვე რუსული წერა-კითხვა გაევრცელებიათ, როგორც დაღესტანში, ისე მთელ კავკასიაში. ეს გარემოება გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ის შემცდარი გზა რომელსაც უსლარი დაადგა თავის განზრახვის შესრულების დროს, შეიძლება ნაძალადევიც იყო, ვინაიდან, როგორც საერთოდ მისი ნაწერებიდან სჩანს, უსლარი შოვინიზმს სრულიად მოკლებული იყო. ეს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან უარჰყო არაბული ანბანი და შესცვალა ის რუსულით, რის გამო მისმა შრომამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. ასეც უნდა მომხდარიყო: უსლარმა განიზრახა აღმოეფხვრა ხალხის გონებიდან ის, რაც მას უკვე ათი საუკუნით წინ ჰქონდა შეთვისებული და სისხლ-ხორცში გამჯდარი.

თავის ასეთ მოქმედებას უსლარი ამყარებდა იმ მოსაზრებაზე, რომ არაბული ენის ხმები ლეკებისას და საერთოდ მთიულების ენის ხმებს სრულიად არ უდგებიანო. საუკეთესო ანბანად ამ საქმისათვის მან ჩასთვალა ქართული ანბანი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქართული ენის ხმები; გამოხატულება კი ამ ხმებს მისცა რუსული. ისეთი ხმების აღსანიშნავად, რომელნიც რუსულ ანბანში არ მოიპოვებოდა, მან შესაფერ ანბანს მიუმატა ნიშნები და ზოგიერთები ლათინურ ენიდან ისესხა. „ქართულ ანბანის სისტემა—ამბობს უსლარი—შეიძლება დავუდვათ საფუძვლად ყველა კავკასიის ენებს, რომელთაც საკუთარი ანბანი არა აქვთ. მაგრამ თუ ქართველებისაგან ვისესხებთ სისტემის გარდა აგრეთვე ანბანის გამოხატულებასაც, მაშინ შევქმნით დაბრკოლებას (ვისთვის?), რომელიც მით უფრო საგრძნობელი იქნება, რაც უფრო გავრცელდება წერა-კითხვა კავკასიაში. საერთო ანბანის უპირატესობა ცხადია: იმის მაგიერ, რომ თითოეულ ენისათვის ისწავლოს ადამიანმა ოცდა ათამდე ახალი ნიშნები, უფრო ადვილი საქმე იქნება, ეს ანბანი ერთხელ შეითვისოს. წერისათვის ამ გარემოებას უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება. ყველა სტამბაში მრავალ ენაზე შეიძლება დაიბეჭდოს წიგნები (თუ ქართული ანბანის გამოხატულება მისცემოდა, მაშინ არ შეიძლებოდა?). ქართულ ანბანს ხმარობენ მხოლოდ ქართველები; ეს ანბანი ძალიან განირჩევა როგორც რუსულისაგან, ისე დანარჩენ ევროპიულ ენებისაგან (რუსული ანბანი კი არ განირჩევა დანარჩენ ევროპიულ ენებისაგან,) ამას გარდა, ეხლა რუსული ძალიან გავრცელებულია განათლებულ ქართველებსა და სომხებს შორის (მერე რა?). უმეტეს ნაწილს მთიულ ხალხებისას თითქმის არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ქართველებთან (?!) რუსებთან (მოხელეებთან?) კი განუწყვეტელი ურთიერთობა აქვთ და ძალიან სურთ შეისწავლონ რუსული ენა და წერა-კითხვა (ვითომ?).

ეს ადგილი იმიტომ კი არ გადმოვთარგმნეთ სიტყვა სიტყვით უსლარის თხზულებიდან და ჩვენი შენიშვნებიც ჩავუმატეთ, ვითომ ვფიქრობდეთ, უსლარის შრომა უკეთეს ნაყოფს გამოიღებდა, რომ მას რუსული ანბანის მაგიერ ქართული ეხმარა. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა აღგვენიშნა, რომ „Всѣ дороги ведутъ въ Римъ"...

არაბულ ანბანის თაობაზე ს. უსლარი ამბობს: „თუ არაბულ ანბანს არ ჩავუმატეთ ასოები, უამისოდ ეს ანბანი ისეთივე გამოუსადეგარია ჩვენი მიზნისთვის, როგორც რუსული ანუ ლათინური". მაგრამ რუსულ ანბანსაც ხომ ჩამატება დასჭირდა და ზოგიერთ ასოებს ნიშნებით აჭრელებაც, რასაც არაბულ ანბანს უკიცინებდა!

ზემოდ მოყვანილ სისტემის საშუალებით, უსლარი მხნედ შეუდგა საქმეს და, შედარებით მოკლე ხანში, შეიმუშავა ანბანი და გრამატიკა ხუთი ენისათვის, სახელობ: ავარულისა, კაზიკუმუხულისა, ხურკინულისა, კიურინულისა და ტაბასარანულისთვის.

მთავრობამ მოიწონა უსლარის აზრი და შეუდგა მის პრაქტიკულად განხორციელებას. 1865 წელს გაიხსნა თ. ხ. შურაში სკოლა, სადაც ასწავლიდნენ ავარულ ენას უსლარის სისტემით. თავიდანვე განზრახვა ჰქონდათ, მიეღოთ სკოლაში 15 ყმაწვილი კაცი, რომელთაც შემდეგ უნდა გაევრცელებინათ ავარელთა შორის მშობლიური წერა-კითხვა ახალი ანბანის საშუალებით, მხოლოდ ადმინისტრაციამ მოისურვა, რომ სასწავლებელს ეხლავე პრაქტიკული შედეგი მოჰყოლოდა და ამ მიზნით ახალი სწავლა დააწყებინა სხვადასხვა დაწესებულებათა საქმის მწარმოებელთ. ამ სახით ადმინისტრაციას სურდა რუსულ ანბანით დაწერილ ავარულ ენაზე გაეჩაღებინა მიწერ-მოწერა და არაბული ენა და ანბანი სრულიად განედევნა სამმართველოებიდან. სასწავლებელი არსებობდა ორ წელიწადს და ამ ხანში 100 კაცზე მეტმა შეისწავლა ახალი ანბანი. მოსწავლეთა შორის იყვნენ მოხელეები, ხანში შესული მოლები, ყმაწვილი კაცები და მცირე-წლოვანნიც. ამგვარივე სასწავლებელი გახსნეს გუნიბსა და კაზიკუმუხში, მხოლოდ ამ უკანასკნელში წერა-კითხვას კაზიკუმუხულ ენაზე ასწავლიდნენ.

გუნიბის სკოლა გაიხსნა 1867 წელს 1 თებერვალს და 15 ივნისს იმავე წლისა დაიხურა. კაზიკუმუხის სკოლა კი გახსნა 11 ენკენ. 1866 წ. და დაიხურა 1 ივნის 1867 წ., ვინაიდან თავს ვერ მოუარეს. კიდევ სხვა ზომებიც მიიღო მთავრობამ, რომ საქმე გაჩარხულიყო,—მაგალითად, ვინც მშობლიურ ენაზე შეასწავლიდა წერა-კითხვას რუსული ანბანის დახმარებით ბავშვს ანუ ხნიერს, მას აძლევდნენ საჩუქრად ხუთ მანათს, რისთვისაც 1870 წელს 1000 მანათი იყო გადადებული.

მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა და ცდამ უნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იალქნიანი გემი, კაპიტანი ტყვედ წაიყვანეს და ჩრდილოეთ-დასავლეთით წავიდნენ. ალბად ვლადივოსტოკში დაბრუნდნენ. ადვილი შესაძლებელია, რომ იმათ სხვა წვრილი გემებიც გაანადგურეს.

ტოკიო, 24 აპრილი. ოფიციალურად იტყობინებიან,—იაპონელები ტუნხუამდის გაიწიენო, იაპონიის ჯარმა გაფანტა რუსების ცხენოსანი რაზმი და დაიჭირა კოუიანტაი, ტუნხუაზე 20 მილით მოშორებული. ხუთშაბათს, 21 აპრილს, იაპონელები ფაკუმინიდან ფინ-ჩუამდის გადავიდნენ. ფაკუმინის ჩრდილოეთის 30 მანძილზე ეშიასტუნთან და ტარიატუნთან იაპონელებმა გაფანტეს რუსების რაზმები.

(დამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ხუნხუზები. უკანასკნელ დროს რუსები სჩივიან, ხუნხუზებმა საქმე გაგვიჭირესო. მართლაცა და, ხუნხუზები რუსების მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ. ნემისროვიჩ-დანჩენკოს აზრით, გადაკიდების მიზეზი შემდეგია: ხუნხუზთა ნაპოლეონი, განთქმული ტულისანი, ძალიან ნიჭიერი პატიოსანი, პირდაპირი და გავლენიანი კაცია. ტულისანი კვეხულობს, ჩემს დღეში სიტყვა არ გამიტეხია და არავისთვის მიღალატნიაო. მერე იცით, რა გავლენა აქვს ტულისანს? შანჰაიგუანის მეფე იუანშიკაი ტულისანთან სტუმრად იყო, თავის მეგობრობა გამოუცხადა. ჩინეთის მთავარსარდალი, გენერალი მაი ტულისანის მეგობრობით ამაყობს. ამჟამად ტულისანი იაპონელების ერთგული მეგობარია, ერთგული მსახურია; ის იაპონელებს აუარებელ სურსათსა და სანოვაგეს უმზადებს. ტულისანს 15,000 მშვენიერად გაწვრთნილი და ნასწავლი ხუნხუზი ჰყავს. ეს ჯარი ხუნხუზთა მომავალ ჯარის თესლია. ტულისანი ამბობს ხოლმე; თუ მომინდა, საყვირს დავაკვრევინებ და სინმინტინიდან შანჰაიგუანამდე ყოველი კენჭი სალდათად გადაიქცევა. ამ ტულისანმა ერთ დროს რუსებს სთხოვა, გემსახურებითო, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიამ არ იკადრა. ტულისანს ერთ დროს რუსეთის მთავრობისაგან 40 ათასი მანათი უნდა მიეღო, მაგრამ მოხელეებმა ტულისანი გააგდეს და ფული არ მისცეს. ამის შემდეგ ტულისანი და ყოველი ხუნხუზი რუსებზე ამბობს: რუსებს არც სიტყვა აქვთ და არც პატიოსნებაო. ხუნხუზები დარწმუნდნენ, რომ იაპონელებს სიტყვაც აქვთ და პატიოსნებაც, და ამიტომ ერთგულად ემსახურებიან. (ს. ო.).

მანჯურიაში. მარშალ ოიამას მარცხენა ფლანგი დაძრულა და წინ მიდის. იაპონელებს ჯერ ტუნხუა აუღიათ, მერე რუსების ცხენოსნები დაუმარცხებიათ და დაუჭერიათ კოატაი, რომელიც ტუნხუას ჩრდილოეთით 20 მილის მანძილზე მდებარეობს. 21 აპრილს ფაკუმინიდან წასულ იაპონელებს 30 მილის მანძილზე რუსები ეშიასტუნსა და ტასიანტუნთან დაუმარცხებიათ და ფინჩუა აუღიათ. იმავე დღეს საღამოზე იაპონელები ისევ დაძრულან და წინ წასულან. ეტყობა, მარშალმა ოიამამ ისევ ახლი ბრძოლა განიზრახა. თუ მთავარი იერიში იაპონელების მარცხენა ფრთემ მიიტანა და გაიმარჯვა, რუსებს ცუდი დღე დაუდგებათ, რადგან იაპონელები მოდუნეს გზით ციციკარს აიღებენ და რუსებს გზას მოუჭრიან. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეხლა ძნელი გამოსაცნობია, ოიამა რომელ მხრიდან მიიტანს ნამდვილ იერიშსა. (რ.).

„რუს. სლ."-ის გუნჯულინიდანატყობინებენ: იაპონელები ამჟამად ასე არიან დაყოფილნი: რკინის გზის დასავლეთით გენ. ნოგის ლაშქარი სდგას, რკინის გზაზე ნ. ძუსი, მარჯვნივ—კავამურასი. კუროკისა და ოკუს ჯარები ტელინის სამხრეთით (?) დგანან და ოიამას მთავარ რეზევრს შეადგენენ. იაპონიის ჯარი ისე დადგა, რომ ვეღარც გვერდიდან მოუვლით და ვერც შუაზე გასწყვეტავთ. მონგოლიის საზღვრებთან აუარებელი ხუნხუზი იკრიბება. დაჟინებით ამბობენ, ამ ხუნხუზებს უკან იაპონელთა დიდი ჯარი მოსდევსო. იმასაც ამბობენ, ამ ჯარის მოწინავე რაზმები გუნჯულინის გასწვრივ ამოვიდნენო. ჩინელები იბარგებიან და საჩქაროდ მიდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს-ხვალ ბრძოლა უნდა დაიწყოს. ასევე იყო მუკდენისა და ლიაოიანის ბრძოლების დაწყებამდის: ჩინელები მაშინაც გარბოდნენ და გვეუბნებოდნენ, დღეს-ხვალ ბრძოლა დაიწყებაო, და მართლაც იწყებოდა. (რ. ს.).

მარშალ ოიამას ჯარი. ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, მარშალ ოიამას ორი ახალი ლაშქარი მოუვიდაო. ეს ლაშქრები ვლადივოსტოკისკენ წავლენ და როჟესტვენსკის მოსვლამდის ალყას შემოარტყამენო. თვითონ ოიამა კი 600 ათას კაცით ამ დღეებში რუსებს მიესევაო. ამ ცნობებს „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი ჰგზავნის ლონდონიდან და იწერება, ტყუილიაო. მაგრამ ეს ცნობები სწორედ რომ მართალი უნდა იყოს. ამას წინად „რუს. ვედ."-ის სამხედრო მიმომხილველიც სწერდა, რომ მარშალ ოიამას ორი ახალი ლაშქარი მიაშველეს, გენ. ხასეგავასი და ნიშისაო. ხასეგავას ჯარი ვლადივოსტოკისკენ მიდის, ნიშისა კი ჯერ არ იციან, სად არის (ნ. ვ.).

ახალი ამბავი

როგორც დუშეთის მაზრიდან გვატყობინებენ, სოფლებ მუხრანს, ძალისს, მჭადიჯვარსა და წილკანში ეგზეკუცია **აუხსნიათ**, ახლა ჯარი თავის ხარჯით იკვებება.

◆ დღეს, 26 აპრილს, **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება**, რომელზედაც აგრონომი ფირალოვი აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს.

◆ დღეს, 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საარტისტო თეატრის დარბაზში, გუბერნატორის ნება-დართვით, ტფილისის სასწავლებლების მოსწავლეთა **მშობლების კრება მოხდება** ეხლანდელ სკოლის ავ-კარგზე მოსალაპარაკებლად.

◆ სოფ. **ცხინვალიდან გვატყობინებენ დღიური მუშები**, რომლებიც ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოდიან და ვაჭართა და მემამულეთა ვენახებში მუშაობენ, გაფიცნენ და დღიურ ფასის მომატებას თხოულობენო.

◆ **კავკავის სამხედრო გზაზე მეეტლეთა შორის უკმაყოფილებამ იჩინა თავი**. ტფილისიდან კავკავამდის 12 საფოსტო სადგურია. ამ სადგურებზე ირიცხება ორასამდის მეეტლე. ჯამაგირი აქვთ თვეში ზოგს ხუთი მანათი, ზოგს 8 და ზოგს 10 მანათი. ჯამაგირს გარდა ეძლევა თვითოეულს 3 გირვ. პური და „სადილი",—წვნიანი რამე. ჯამაგირს ნაწილ-ნაწილად აძლევენ, ორ და სამ მანათობით. ზოგჯერ 3—4 თვის განმავლობაში არ ურიგებენ ჯამაგირს და მეეტლე იძულებულია იცხოვროს „ნავოტკით", რომელიც თვეში 2—3 მანათზე მეტი არ მოდის. მეეტლეთა აუტანელი მდგომარეობა ყველას გაგონილი ექმნება: დღე და ღამე, სიცივე, ავდარში ეტლის ტარება, ცხენების მოვლადაწმენდა, ბინძური სადგომი, ხშირი ლანძღვაგინება, ზოგჯერ მუჯლუგუნი და მათრახი ნერვებ აშლილ მგზავრებისაგან.

◆ **ტფილისის ინჟინერებმა** რუსეთის ინჟინერთა კავშირის თავმჯდომარეს პროფესსორ ვ. ლ. კირპიჩოვს **დეპეშით აცნობეს**, რომ ჩვენც ვუერთდებით ინჟინერთა კავშირის დადგენილებათაო.

◆ ქალაქისგამგეობამ მოისმინა მოხსენება თ-დ არღუთინსკი-დოლგორუკოვისა ქალაქის თვით-მმართველობაში **მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ** და დაადგინა, გადასცეს ეს მოხსენება იმ კომისიას, რომელიც ამჟამად იკვლევს მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ პარასკევს, 22 აპრილს, სანიტარულმა სამკურნალო საბჭომ კრებაზე მოისმინა თხოვნა ფარმაცევტებისა, ფელშერებისა, ბებია-ქალებისა და დაბალ მოსამსახურეთა **თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ**. საბჭომ პრინციპიალურად საჭიროდ იცნო ქალაქს გამგეობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აგრეთვე დაადგინა მათი **ჯამაგირების მინიმუმად**: ფარმაცევტებს 70 მან., ფერშლებს 50 მან., ბებია-ქალებს 40 მან., ხოლო დაბალ მსახურთა შესახებ ცალკე ბჭობა ექნებათ.

◆ კვირას, 24 აპრილს, სადგურებიდან ტფილისს ჩამოვიდნენ ბუფეტების პატრონთ წარმომადგენელნი ღსადამოს 8 ს. მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად კრება გამართეს. უმეტესი ნაწილი მსახურთა მოთხოვნილებისა კრებამ დააკმაყოფილა: დაუნიშნა თითოს ჯამაგირად თვეში 15 მ. და თან ფრაკეს სერვიზის ზღვევა დააკისრა, ხოლო სხვა პასუხის-გებისაგან კი გაანთავისუფლა. ამავე კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსთან, რომ, დიდის ხარჯების გამო, $50^0/_0$ დაუკლოს მათ საიჯარო გადასახადი. ამბობენ, მოსამსახურენი მაინც არ დაიწყებენ მუშაობას, რადგანაც პირობისამებრ ყველა მუხლი მათის მოთხოვნილებისა არ დააკმაყოფილესო.

◆ სოფ. **ერტიზიდან** (ტფ. მაზრა) **გვატყობინებენ**, გლეხთა მოძრაობის გამო, იქ მისულა მაზრის პირველ ნაწილის ბოქაული 60 კაზაკით და ერთის ადგილობრივ მცხოვრების ჩვენებით დაუპატიმრებია ერთი ქერივი მანდილოსანი. გლეხების დეპუტაციას ბოქაულისთვის უთხოვნია განთავისუფლება ამ ქერივის ქალისა, რადგანაც იგი უდანაშაულოაო, მაგრამ არ გაუნთავისუფლებია.

◆ 14 აპრილს, საღამოს 9 საათზე, გორის სამაზრო სამმართველოს თარჯიმანს **დავიდ ჩიკოიძეს ვიღამაც ორჯელ რევოლვერი ესროლა** და მსუბუქად ფეხში დასჭრა. ვერც ჩიკოიძემ და ვერც იქვე მდგომმა სტრაჟნიკმა ბოროტ განმზრახველი ვერ შეამჩნიეს. როგორც ეტყობა, ღობიდან უსვრია. რამდენისამე დღის წინად ჩიკოიძეს ბათუმიდან ძმისაგან მოსვლია დეპეშა, გაფრთხილდი, ვიღაცა წამოვიდა გორში შენს მოსაკლავადაო. ამას შემდეგ თვითონაც მიიღო წერილი, სადაც მოკვლას ემუქრებოდნენ („კავკ.").

◆ **ხაშურიდან გვატყობინებენ**: კვირას, 24 აპრილს, როდესაც კონტორჩიკი ნ. პ. ვოროპანოვი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, ვიღაც უცნობი პირი დეეწია, ესროლა რევოლვერი და მიიმალა. ვოროპანოვი რამდენისამე წუთს შემდეგ გარდაიცვალა.

◆ ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა განცხადება წარუდგინა საბჭოს **მეეტლეთა ნიხრის დაკლების** თაობაზე, რადგანაც, ჯერ ერთი, ელექტრონის ტრამვაის უმოქმედობით ბევრი შემოსავალი აქვთო და, მეორე, მცხოვრებნიც ძლიერ სწუხდებიან მეტ ფასის გაღებითაო.

◆ კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსი, პოლკოვნიკი გუსლავსკი აცხადებს: **გაზ. „ტელეფონ"-ის კორესპონდენტი**, რომელმაც ამ გაზეთში პირველად დაბეჭდა ცნობა კაზაკებისა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შესახებ, ცილის წამებისათვის სასამართლოში იქნება მიცემულიო.

◆ სოფ. მარტყოფში (ტფილისის მაზრა) ამ დღეებში წასულა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათაგან გაგზავნილი მოხელე და **გლეხებისთვის 100 დესეტინა ტყის ნაჭერი მიუზომია**. ამ სოფლის გლეხებს გადაუყენებიათ წინანდელი მამასახლისი ტატო სამქუაშვილი და დაუნიშნავთ სალთხუციშვილი. ამოურჩევიათ აგრეთვე 40 კაცი, რომელსაც დაავალეს სოფლის წინანდელ მოხელეთაგან შეჭმულის ფულების რაოდენობის გამოკვლევა. ჯერ-ჯერობით სხვადასხვა ყოფილ მოხელეთა რომელთა სახელი და გვარი სოფლელებმა კარგად იციან სოფლის ფული შეუჭამიათ—3920 მანათი. სოფელი ძლიერ აღელვებულია, და თხოულობს—ახლავე ჩამოვიდნენ ამ ფულს ეს პირნი, თორემ, რაც რამ აბადიათ, სულ გავუყიდითო.

◆ დღევანდლამდე, საბაჟის ტარიფის 66 მუხლის § 1 ძალით, არავითარი ბაჟი არა ხდებოდა მოსაფენ ქვას, საზღვარ გარეთიდან კავკასიაში შემოტანილს, რომლითაც ამჟამად იკირწყლება ტფილისის ქუჩები, ვინაიდან იგი ითვლებოდა, როგორც უბრალო ქვა. ახლა კი **გამოვიდა ახალი ბრძანება ფინანსთა მინისტრისა, რომლის** ძალითაც (Указатель мин. фин." отъ 3 апр., № 14) ამ ქვას უნდა გადახდეს შემდეგი ბაჟები: თუ რომ თითოეულ ქვის სისქე ვერშოკს აღემატება, ფუთზე უნდა გადაიხადოს $4^1/_2$ კაპ., ხოლო თუ ქვის სისქე ხუთ ვერშოკზე ნაკლებია, უნდა გადახდეს ფუთზე ცხრა კაპ.; წინად, ამ ბაჟის შემოღებამდე., ამხანაგობა „გეორგია" ქალაქს აბარებდა ტფილისის სადგურზე—1000 ქვას 108 მ., ახლა კი თითოეულ 1000 ქვაზე განსხვავება იქნება 45 მანათი.

ამჟამად ქალაქში იმყოფება ამხ. „გეორგიას" მმართველი და ქალაქის გამგეობასა სთხოვს—გადაიხადოს ის ბაჟი, რომელსაც ბათუმის საბაჟო სთხოვს ზემოხსენებულ ქვაზე და რომლითაც დატვირთული ერთი გემი უკვე ბათუმის ნავთსადგურში სდგას.

◆ მეორე განყოფილების გამომძიებელი ბ-ნი გოროვოი აცხადებს: ამას წინად ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ოქრომჭედელმა ზისკოვიჩმა მუქარის წერილი მიიღო, მუზეუმის ქუჩაზე 75 მან. მოიტანესო და ამ ფულის ასაღებად იმ ადგილზე მივიდნენ აზნ. ივანე მდივანი და სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე რაზიკაშვილიო. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, **მდივანი და რაზიკაშვილი არაფერს შუაში არ არიან**. იმ კაცს, რომელსაც წერილი მიუწერია და რომელიც უკვე დასახელებულია, თვითონ შეჰშინებია დანიშნულ ადგილზე მისვლა და მდივანი მოუტყუილებია, წადი ამა და ამ ალაგას, რაც ქვის ქვეშ იყოს, მამიტანეო, **რაზიკაშვილს კი სრულებითაც არა სცოდნია, მდივანი** რა მიზნით მიდიოდა ამ ქუჩაზე. ამჟამად ეს საქმე მისპობილია და **მდივანი და რაზიკაშვილი გამართლებულნი** არიანო.

◆ მოქალაქეთა გამგეობამ ტფილისის პოლიცმეისტერს წარუდგინა სია ტფილისის იმ მჭედლებთა, რომელნიც **სამხედრო ბეგარის მაგივრად იხდიან დაწესებულ გადასახადს**, და სთხოვა გადაახდევინოს ეს ფული.

◆ მივიღეთ სურათებიანი ჟურნალ „ნაკადული"-ს მე-6 №-ი მოზრდილთათვის—შემდეგის შინაარსისა: 1) სხივი, ლექსი; 2) წყლის პეპელა; 3) პაწია ზღაპარი; 4) გულწითელა; 5) ალერსისთვის; 6) ორი ნაკადული, ლექსი; 7) პოლ ბერის საუბარი; 8) საუბარი; 9) ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში; 10) უძველესი ადამიანი; 11) ნარევი: უზარმაზარი მეტეორიტი; 12) სახალისო სამუშაო და გასართობი: ა) ვინ მოიგო, ბ) ჯვრის ამოცანა, გ) ჩქარა გამოსათქმელი, დ) ანეგდოტი, ე) შარადა, ვ) გამოცანები, ზ) სადღეგრძელო, თ) რებუსი და 13) დამატება: ზოოლოგია.

სადღეისო

თანასწორობა თუ „პარუსსკი"?

ხმაურობაა.. დაჟინებით მოისმის იგივე სიტყვები: ერთობა! თანასწორობა!..

დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, სხვადასხვა მიმართულების მიმდევარი, ყველა იძახის იმავე სიტყვებს, ყველა მოითხოვს თანასწორობას...

და ყველას ეს სიტყვა ესმის თავისებურად...

ამბობენ: თანასწორობა მოითხოვსო ცენტრალიზაციას...

ამბობენ: თანასწორობა მოითხოვსო ავტონომიას!..

აგერ შორიდან მოისმის ხმები: სრულიად რუსეთის საერო კრება, ამ კრებაში მონაწილეობის მისაღებად ყველას ექმნება თანასწორი უფლება. არ გინდა დაქსაქსვა! საერთო კრებამ უნდა განაგოსო თანასწორად ყველასი საქმე...

—

აი, თვალწინ მეხატება თანასწორობის გამომხატველი კრება...

აგერ, უზარმაზარ დარბაზში ყოველ კუთხის წარმომადგენელი თავმოყრილია... ოცდაათ სხვადასხვა ეროვნების ხალხია აქა...

თავმჯდომარე, სავარძელში თავმომწონედ ჩამჯდარი, აცხადებს: „თანასწორობა"! დაიწყებენ თავმოყრილი პირები ლაპარაკს.

რუსმა თავადმა ილაპარაკა თავად-აზნაურობის უპირატესობაზე, გამოაცხადა, რომ ზოგიერთს უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში პრივილეგია, რომ საჭიროა იგი პროგრესისათვის...

დიდხანს ილაპარაკა...

სხვებიც მოემზადნენ სალაპარაკოდ.

აგერ, დგება პოლონელი მუშა, მუშურად ჩაცმული, მუშათა ინტერესების დამცველი. როგორც პოლონელი, მხოლოდ თავის დედა-ენის მცოდნე, პოლონურად იწყებს ლაპარაკს... არღვევს პირველ ორატორის საბუთებს...

მაგრამ გაისმა ზარის წკარუნი და თავმჯდომარე ფრისხანედ იძახის:

—რუსულად! დაუპორუსკი!.. თქვენი პოლონური არ გვესმის!..

ადგა ფინლიანდიელი და იმანაც თავის დედაენაზე მიჰმართა კრებას.

მაგრამ აქაც ზარის წკარუნი და ისევე თავმჯდომარის შენიშვნა:

— „პორუსსკი!"

ასე ზედი-ზედ ილაპარაკა ყველა არა რუსმა წარმომადგენელმა, ილაპარაკა ქართველმაც და

ყოფოდ ჩაიარა. ისიც უნდა ითქვას, რომ მთავრობამ სრულიად უარჰყო ის გზა, რომელსაც უსლარი უჩვენებდა (იხილე „Этнографія Кавказа" П. К. Усларъ. „О распространеніи грамотности между горцами"). ამასთან თვით ხალხსაც არ დაუჯდა ჭკუაში და აითვალწუნა.

ლაჩინილაუსაგან დაწყებულ საქმეს ჯერ პატრონი არ გამოსჩენია, ვინაიდან საუკეთესო მამულის შვილნი შამილთან ერთად რუსეთს იქმნენ გადასახლებულნი, და ახალი საქმის მომრიგებელი ჯერ-ჯერობით არავინ არის. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ებღაუჭება იმ ცოტა რამესაც, რაც მას დაუტოვეს. ეხლა, როდესაც უსლარის ანბანით დაწერილი ერთი წიგნიც არ მოიპოვება ლეკეთში, არაბული ანბანი ძალიან გავრცელებულია: შინაური მიწერ-მოწერა, ხელწერილები, დავთრები, ერთის სიტყვით, ყველაფერი, რის დაწერაც სჭირდება ლეკს, სამშობლო ენაზე არაბულ ანბანით იწერება. თვით ადმინისტრაცია ზოგჯერ იძულებულია ეს გარემოება მიიღოს მხედველობაში და სხვადასხვა ქაღალდებს სწერს ადგილობრივ ენაზე არაბულ ანბანის საშუალებით, თუმცა უმეტეს ნაწილად ადმინისტრატიული მიწერ-მოწერა არაბულ ენაზე სწარმოებს. ესეც ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ხალხის ცხოვრების გადაბრუნება და უცხო კალაპოტში ჩასმა ერთი კალმის მოსმით არ შეიძლება. ეჭვს გარეშეა,—თვით ერისაგან დაწყებულ სამშობლო ენის აღორძინების საქმისთვის მთავრობას რომ ხელი შეეწყო, დაღესტანი ეხლა რუსეთთან უფრო დაახლოვებული და კულტურულადაც უფრო განვითარებული იქნებოდა.

მთავრობა ეხლაც ეწევა თავისებურად ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს, თუმცა ეს შრომა ნაყოფს ვერას დროს ვერ გამოიღებს. გადავხედოთ ფაქტებს.

პირველი სასწავლებელი, რომელსაც მიზნად ჰქონდა მკვიდრთა განათლებაზე ზრუნვა, გაიხსნა 1849 წელს დარუბანდში. სასწავლებელ საგნებად იყო დანიშნული რუსული და არაბული ენები და ყორანი. მოსწავლედ იღებდნენ ყოველნაირ წოდებისას, ასე რომ ზოგი მოსწავლე 25 წ. იყო. თითო მოსწავლეს საჭმელ-სასმელისათვის 20 კაპ. ეძლეოდა დღიურად და ტანფეხსაც აცმევდნენ. სასწავლებელში 69 მოსწავლემ მოიყარა თავი, კომპლექტი კი 60 იყო. ორი წლის შემდეგ ხალხმა გული აიცრუა სკოლაზე და მოსწავლეთა რიცხვმა კლება იწყო. მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ მოსწავლეთ მოუსპეს თითო აბაზის ძლევა და თვით სკოლაში ასაზრდოებდნენ. ამას გარდა განთქმული მასწავლებელი არაბულის ენისა მირზა-ოღლი გადაიცვალა და ახალ მასწავლებელს არ ჰქონდა სახელი მოხვეჭილი მცხოვრებთა შორის. ასე იყო, თუ ისე, 1854 წ. მოსწავლეთა რიცხვი 20-მდის დავიდა, რის გამო ადგილობრივმა გუბერნატორმა განიზრახა ამ სასწავლებლის დახურვა და მის მაგიერ ორი ახალი სასწავლებლის გახსნა სოფლად; მხოლოდ კასპიის მხარის უფროსის გრიგოლ ორბელიანის წარდგინების თანახმად, სასწავლებელი თ.-ხ.-შურაში იქმნა გადატანილი. სხვათა შორის, თავადი თავის წარდგინებაში სწერდა: „თემირ-ხან-შურა, სადაც ცხოვრობს ჯარების სარდალი თავის შტაბით და დაბინავებულია ერთი პოლკი ჯარი, არ არის მოკლებული სამხედრო ბრწყინვას (блескъ) და ამიტომ ეს ქალაქი შთაბეჭდილებას მოახდენს ახალგაზრდა მთიელებზე და გახდება მათთვის ჩვენი მთავრობის ძალისა და დიდების გამომხატველად, რაზედაც მათ შესაფერ აზრებს შთაუნერგავს სკოლა". ასეთი აზრი პოეტის მხრივ სასწავლებლის დანიშნულებაზე შეუფერებლათ უნდა ჩაითვალოს.

სამხედრო „ბლესკმა" მაინც ვერ გასჭრა და მოსწავლეთა რიცხვი 20-ის ზევით არ ავიდა, რის გამო 1859 წ. სასწავლებელი დახურეს.

ამავე წელს გამოვიდა დებულება მთიელთა სასწავლებლების შესახებ, რომლითაც დაწესდა, რომ მთიელებთან ერთად რუსის მოხელეთა შვილებსაც ესწავლათ სკოლაში. ერთი ამგვარი სასწავლებელი გაიხსნა 1861 წელს თ.-ხ.-შურაში. განზრახული პროგრამით სასწავლებელი არსებობდა 1874 წლამდის და ამ წელს კი „პროგიმნაზიად" იქმნა გადაკეთებული. სასწავლებელი ამ ხანში დაასრულა 66 ყმაწვილმა, რომელთაგან ლეკები მხოლოდ 12 $(18^0/_0)$-ს შეადგენდნენ. 1880 წელს პროგიმნაზია გადაქმნილ იქმნა რეალურ სასწავლებლად, რომელიც დღემდის არსებობს. „პროგიმნაზიის" კურსი დაუმთავრებია სულ 38 ყმაწვილს, მათ რიცხვში 4 ლეკს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სურდა პროგიმნაზია სრულ კლასიკურ გიმნაზიად გადაეკეთებინა, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ დაანება, განსაკუთრებით თავი გამოიდო ლევან მელიქიშვილმა, დაღესტნის მმართველმა, ვითომდა რეალური სწავლა-განათლება მკვიდრთ უფრო შეეფერებაო და მათთვის უფრო ხელ-მისაწვდენი არისო. ძაღლის თავი კი სხვაგან იყო დამარხული: გიმნაზია რომ დაარსებულიყო, ყველა კურს-დამთავრებულთ უფლება მიეცემოდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა, რეალურ სასწავლებლიდან კი სამხედრო სამსახურისთვის უნდა მიეშურებიათ, ვინაიდან უნივერსიტეტის კარები მათთვის დახშული იქნებოდა და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა ძნელი იყო და არის ეხლაც. მართლაც, ადმინისტრაციის ეს მოსაზრება არ გაუცრუვდა და ეხლაც უმეტესი ნაწილი აქაურ რეალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთა სამხედრო სამსახურისაკენ მიიწევს.

1890 წლამდის ადგილობრივ რეალურ სასწავლებელში უსწავლია 145 ლეკს, ამ რიცხვიდან 28 გადასულა სტავროპოლის გიმნაზიაში და 11 ბაქოს რეალურ სასწავლებელში; სასწავლებელი კი დაუმთავრებია 14-ს, რომელთაგან 12 (!) შესულა სამხედრო სამსახურში, 1 უმაღლეს სასწავლებელში და ერთსაც კერძო საქმისთვის მოუკიდნია ხელი. დაღესტნის გარედაც იგზავნებოდნენ მკვიდრთაგან საზოგადოების ხარჯით („საჯარიმო" ფონდის ფულით) სწავლის მისაღებად. 1866—1890 წლებში სტავროპოლის გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში გაუგზავნიათ 124 ლეკი, რომელთაგან გიმნაზია გაუთავებიათ—3-ს და რეალური სასწავლებელი—29-ს. ამ რიცხვიდან 15 სამხედრო სამსახურში შესულა და 13-ს მოუსურვებია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. აგრეთვე ბაქოს რეალურ სასწავლებელში გაუგზავნიათ 47 ლეკი, რომელთაგან 10-ს დაუმთავრებია სასწავლებელი და ყველანი (!) სამხედრო სამსახურში შესულან.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ოფიციალური ცნობები, ბოლო წლებში რამდენ ლეკს დაუმთავრებია სწავლა საშუალო სასწავლებელში, მაგრამ, როგორც კერძოდ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, მათი რიცხვი არ უნდა იყოს დიდი, მისწრაფება კი სამხედრო სამსახურისადმი ძველებურია, ხშირად კი ძალაუნებურადაც, ვინაიდან უნივერსიტეტის კარები მათთვის, როგორც რეალურ სასწავლებლის კურს-დამთავრებულთათვის, დახშულია.

1903 წელს თ.-ხ.-შურის რეალურ სასწავლებელში ითვლებოდა 361 მოსწავლე, მათ რიცხვში — 77 ლეკი; ახლად დაარსებულ დარუბანდის რეალურ სასწავლებელში—145 მოსწავლეთა რიცხვში მხოლოდ 5 ლეკი ითვლებოდა. საქალაქო სასწავლებლებ ში (თ.-ხ.-შურა, დარუბანდი, პეტროვსკი) ირიცხება მხოლოდ 22 ლეკი.

რაც შეეხება სწავლა-განათლების გავრცელებას სოფლად, ეს საქმე გაცილებით უფრო უვარგისად სწარმოებს და ის ცოტაც, რასაც მთავრობა აკეთებს, უნაყოფოდ იკარგება, ვინაიდან მკვიდრთა მოთხოვნილებასთან სასწავლებელთა პროგრამის შეუფერებლობის გამო მცხოვრებნი სკოლებს გაურბიან. იმის დასამტკიცებლად, რომ პირველ-დაწყებითი სკოლების განხსნას ყოველის მხრით დაბრკოლება ელობება, მოვიყვან შემდეგ ფაქტებს.

პირველად 1867 წლის დამლევს გახსნეს 3 სასწავლებელი მკვიდრთა სიჭაბუკისათვის, სადაც უნდა ესწავლებიათ რუსული, ავარული და არაბული ენები. მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ სამივე დახურეს, ვინაიდან «ლეკებთან ერთად ვერ შესძლეს სწავლა რუსებმა, რის გამო რუსულ ენას პრაქტიკულად მოსწავლე ლეკები ვერ შეისწავლიანო». 1882 წელს ხელ-ახლა განიზრახეს ლეკებისთვის სკოლების დაარსება. შეუდგნენ სკოლების შენობის აგებას ხუთ სოფელში და დაამთავრეს 1889 წლისთვის, მაგრამ ვერც მაშინ გახსნეს ყველა სასწავლებელი. ერთი სასწავლებლის შენობა საჯარო ვაჭრობითაც გაყიდეს, დანარჩენებში სწავლა დაიწყო მხოლოდ 1891 წლიდან.

მთელ დაღესტანში 1903 წ. სოფლად ითვლებოდა 17 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ამ რიცხვიდან ოთხ სასწავლებელში მხოლოდ რუსები სწავლობდნენ, დანარჩენ რვა სასწავლებელში მარტო ლეკები იყვნენ. ამ სკოლების პროგრამა საერთო სამინისტრო პროგრამის მსგავსია და სწავლაც, რასაკვირველია, რუსულ ენაზე სწარმოებს; მხოლოდ 13 სასწავლებელში მაჰმადის სჯულის სამღვთო წერილს ასწავლიან არაბულ ენაზე, რისთვისაც მოლები ჰყავთ დაქირავებული. მასწავლებლები ყველა რუსია, ორს გარდა, რომელნიც მკვიდრთაგან არიან. ყველა ამ სასწავლებლებში 1903 წელს ითვლებოდა 406 მოსწავლე ლეკი. ზოგიერთ სკოლაში 6 მოსწავლე ითვლებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სასწავლებელთა და მოსწავლეთა ზემოდ მოყვანილი რიცხვი მხოლოდ ოფიციალურად ითვლება, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლებელი, მოსწავლეთა უქონლობისგამო, მთელი წლობით დაკეტილია.

როგორც მკითხველი ხედავს, ხალხი ღვთის ანაბარად არის გაშვებული და თავის მეტი მას პატრონი არ გააჩნია. ამიტომ სწავლის წყურვილსაც, ავად თუ კარგად, ისევე თავის საშუალებით იკმაყოფილებს,—სახელდობ მეჩეთის სკოლებით, სადაც 1903 წელს 5025 მოსწავლე ითვლებოდა. ეჭვს გარეშეა, რომ სწავლის საქმე ასეთ სასწავლებლებში ცუდად არის მოწყობილი, მაგრამ ბავშვი არაბულ ანბანს მაინც ითვისებს, რომლის დახმარებით ცხოვრებაში მშობლიურ ენაზე შეუძლია საჭიროების დროს დასწეროს და წაიკითხოს. ავარელთათვის მაინც ასეთ სასწავლებლებს შედარებით დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგანაც ავარულ ენაზე წიგნებიც მოიპოვება.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია სწავლა-განათლების საქმე დაღესტანში და როდის ეშველება ამას და ან რანაირად,—ალაჰმა უწყის! ჯერ-ჯერობით კი შველა არსაიდან სჩანს და არც მოსალოდნელია...

შემდეგ წერილში ვეცდები მკითხველს გააცნო დაღესტნის სამსჯავრო და მართვა-გამგეობა.

დროებით დაღესტნელი.

—

შეცდომის გასწორება: მეორე წერილში („ივერია" № 56) დაღესტნის სივრცე ნაჩვენებია 3970 ოთხ-კუთხი ვერსი, უნდა იყოს 268,846 ოთხკუთხი ვერსი; თითო სოფლის ექიმის რაიონის სივრცე ნაჩვენებია 800 ოთხ-კუთხი ვერსი, უნდა იყოს 53,769 ო. ვ.

ყველას აწყვეტინებდა მაშინვე ლაპარაკს თავმჯდომარე და უყვიროდა:

— „პო-რუსსკი!“...

ყველას თანასწორად მოსთხოვა ეს „პორუსსკი“ თავმჯდომარემ და ყველა თანასწორად დაემორჩილა თავმჯდომარის ბრძანებას და თანასწორად დადუმდა, რუსს გარდა, რომელმაც თავისუფლად დაუპორუსკა...

ან რად არ „დაუპორუსკებდა“, როდესაც „პო-რუსსკი“ მისი დედა-ენა იყო, ისეთივე დედა-ენა, როგორც პოლონელისთვის—პოლონური და ქართველისათვის—ქართული! და ამნაირად თანასწორობამ გაამატონა ყველგან რუსული ენა და ყოველ ეროვნების შვილს—პოლონელს, ქართველს და სხვასაც—მისცა წინადადება,—ან „დაუპორუსკეთ“, ან სულ გაჩუმდით.

ან ისწავლეთო თქვენს დედა-ენას გარდა კიდევ სხვა ენა, ან იყავით დამუნჯებული!

ამას იძახდა უწინ ალა,—ამასვე იმეორებს ახლა ალის მოწინააღმდეგე.

ყველა დაბრუნდა თავ-თავის სოფელში დაღონებული...

—

აგერ კიდევ მეორე სურათი: იგივე დარბაზი, იგივე პირები, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე...

მაგრამ აღარ არის ზარი,—ყველა თავისუფლად ლაპარაკობს თავის ენაზე.

და ოცდა-ათ ეროვნების შვილი ოცდა-ათ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და მათი სიტყვა, მათი ნათქვამი არავის ესმის.

ნამდვილი ბაბილონია.

—

დაიშალა კრება, დაიშალა იმიტომ, რომ არ ისურვა არავინ ნამდვილ თანასწორობის დარღვევა და უცხო ენაზე ბაასი...

ყველა შინ მივიდა და იქ, სოფლად, ამხანაგებთან შეთანხმებით, გადასწყვიტა, აღარ წავიდეს იმ კრებაში, სადაც მას არ ალაპარაკებენ დედა-ენაზე, და თვითონ შინაურობაში შეიკრიბოს, თვითონ განაგოს თავისი საქმე...

გაისმის აქა-იქ სიტყვა „ავტონომია“.

—

დედამიწის ზურგზე ვრცელდება ახალი მიმართულება...

ამ მიმართულებას ინგლისში ადგება ინგლისელი, გერმანიაში—გერმანელი, ორივე ერთს მიზანს ეთაყვანება, თანხმობით მოქმედობს, იმავე მტერს ებრძვის თავგანწირულად.

მაგრამ ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ამ მიმართულებაზე დამდგარ ინგლისელს ეთქვა: ნუ გვინდა ინგლისი, დღესვე, ახლავე გერმანელებთან ერთად ერთ სახელმწიფოდ შევდგეთო.

გერმანელიც არ მოითხოვს გერმანეთის მოსპობას ახლავე.

და აი, აგერ, ზედ ყურთან მესმის ვიღასიც ძახილი,—არ გვინდა ცალკე,—დავიქსაქსებით!..

და როდესაც ესევე გატაცებული ძახილი გაისმა შორს, სადღაც კრებაში, თავმჯდომარემ მასაც მიაძახა „პო-რუსსკი“!

უცნაურია!..

რომელი დაიჯეროს ადამიანმა—თანასწორობა თუ... „პო-რუსკი“?

ნ. ნ.

პრესსა

ჟურნალი „ხოზაინი“ ასე ახასიათებს რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას.

„რუსეთში სრულებით მოისპო პირადობის ხელუხლებლობის გარანტიები. უამისოდ-კი შეუძლებელია საპოლიტიკო ან საზოგადო ცხოვრება. ადამიანის არსებობა შემთხვევაზე დამოკიდებული, თვითნებობაა გამოტანებული.

საითკენაც უნდა მიიხედოს ადამიანმა—არსად არ იცის, თუ რა მოელის შემდეგში, ხვალვე. შეუძლებელია ნაყოფიერი შრომა სახელმწიფოში.

ამასობაში მთელი რუსეთი კაზაკების, დრაგუნებისა და საზოგადოდ ჯარების ერთ უზარმაზარ ბანაკად არის გადაქცეული. სოფლად ჯარების ჩაყენებით უნდათ შეაჩერონ ახალი მოძრაობა, მაგრამ ივიწყებენ, რომ ჯარის ჩაყენება მხოლოდ გამწვავებს საერთო უკმაყოფილებას და შეუძლებლად ჰყოფს თანამედროვე მოძრაობის გადაწყვეტას მშვიდობიანად.

რუსების ჟურნალი რუსეთის შესახებ ამტკიცებს—ჯარების ჩაყენებას სოფლად მოჰყვებაო სისხლის ღვრა, ვინაიდან ისედაც დამშეული სოფელი ვეღარ აიტანს ზედმეტ შევიწროვებას და ჯარების თვითნებობასაც. შეუძლებელია, ძალით შეაჩეროს მთავრობამ ხალხის ახლანდელი მდგომარეობა, ძალას წინააღმდეგობა მოჰყვებაო უთუოდ.

რუსეთი

1905 წ. 19 აპრილის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრს ნება მიეცა, დაარსოს განსაკუთრებული კომისიები იმ მაზრებში, სადაც გლეხთა მოძრაობამ თავი იჩინა. ამ კომისიებმა **უნდა აღმოაჩინონ ის გლეხები და აგიტატორები**, რომელთაც ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს, და გამოარკვიოს, ვის და რა ზარალი მოუტანა ამ მოძრაობამ. სამინისტრომ ამის შესაფერი ინსტრუქცია შეიმუშავა და გუბერნატორებს გაუგზავნა.

✦ ბელოსტოკის საბჭოში ხმოსნებმა შემდეგი განცხადება შეიტანეს: ბელოსტოკში დაბინავებული **კაზაკები უდანაშაულო ხალხს იკლებენ, აწვალებენ** და ამით მცხოვრებლებს სამართლიანად აშფოთებენ, აბოროტებენ და შურისძიებას იწვევენ. ამის გამო გთხოვთ დანიშნოთ ხმოსანთა არაჩვეულებრივი კრება, რომ კაზაკების მოსაშორებლად რაიმე საშუალება გამოვძებნოთ. რუსეთის ახალ წესწყობილებას შეიმუშავებენ. რათა წარმომადგენლები მართლა ჩვენი საჭიროების გამომხატველნი იყვნენ, ჩვენ ვთხოულობთ, რომ არჩევანში ხელი არ შეგვიშალონ და ის კაცი ამოგვარჩევინონ, რომელიც გვინდა. ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა ყველას წერისა და ლაპარაკის თავისუფლება მიენიჭოს. ამავე მოსაზრებით ვთხოულობთ, რომ გაძლიერებულ დაცვის წესი დაუყოვნებლივ გაუქმდეს. **კაზაკების მათრახები და სალდათების ხიშტები ჩვენ ვერ დაგვამშვიდებს** (პ.).

✦ ამ ბოლო ხანებში ყაზანში მოსწავლეთა შორის თავის კვლა მეტად გახშირდა. სკოლის მთავრობა დაფაცურდა და რამდენჯერმე შეეკითხა სამინისტროს, გვასწავლეთ, როგორ შევაჩეროთ ეს მოვლენაო. სამინისტრომ ჯერ ხმა არ ამოიღო, მაგრამ, როცა თვითონაც დარწმუნდა, რომ მოსწავლეთა შორის თავის მოკვლა მართლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, შემდეგი ღონისძიება გამოსძებნა: ყაზანის სასწავლებლების მთავრობას მისწერა, კვირაობით ყველა მოსწავლენი შეკრიბეთ და **სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ბაასი გაუმართეთო**. ამ ბაასს, რასაკვირველია, მღვდლები გამართავენ (ს. ო.).

✦ როსტოვში (დონის) ამას წინად ბოქაულმა ლეონტიევმა თავის ნებით პოლიციელებს თავი მოუყარა და **მოსწავლენი აიკლო**. მთავრობამ ბოქაული „თვითნებობისთვის“ ჯერ სამის დღით დააპატიმრა და მერე პოლიცმეისტრის თანაშემწედ დანიშნა (ს. ო.).

✦ ივანოვსკის სასოფლო საზოგადოებას (სარატოვის გუბ.) ყრილობაზე შემდეგი რეზოლუცია დაუდგენია: ჩვენ დავრწმუნდით და შევიგნეთ, რომ ჩვენი განათლება და მოღონიერება მხოლოდ ხალხის წარმომადგენლობას შეუძლიან. ჩვენ მხოლოდ იმათი, ხალხის წარმომადგენლებისა და დამკვეთების, იმედი გვაქვს და ამიტომ ვთხოულობთ, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნენ ხალხის წარმომადგენლები, რომელნიც

✦ მოსკოვის ვექილთა თანაშემწეებმა კრებაზე, რომელიც ხალხის იურიდიულ დახმარებას შეეხებოდა, დაადგინა: კრება ღრმად დარწმუნებულია, რომ ამჟამად, როცა **რუსეთის მართვა-გამგეობა უკანონობასა და ძალმომრეობაზეა დამყარებული**, ხალხის იურიდიული დახმარება ყოვლად შეუძლებელია. გაჭირვებულ მდგომარეობიდან რუსეთის დახსნა შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას (ს. ო.).

✦ იალტაში ალებისა და დარბევის მეორე დღეს **მუშათა მიტინგი მოხდა**. მიტინგს რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. კრებამ შემდეგი რეზოლუცია დაადგინა: 1. დამფუძნებელ კრების მოწვევა და ომის მოსპობა, 2. სახელმწიფომ მიწად-მოქმედს საკმაო მიწა უნდა დაურიგოს, 3. კანონმდებლობით მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, 4. სახელმწიფო ხარჯით შენახვა იმ მუშებისა, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ, 5. არაპირდაპირ გადასახადების მოსპობა და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება, 6. საყოველთაო, უფასო და თავისუფალი პირველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სწავლა.

ამ რეზოლუციას რამდენიმე ათასმა კაცმა მოაწერა და მინისტრთა საბჭოში გაგზავნა (პ.).

✦ ეკატერინოდარში **მონარქისტების პარტია** შემდეგ პროკლამაციებს ავრცელებს: წინდაწინვე გატყობინებთ, ანარქისტებო, რომ თქვენ დიდი საფრთხე მოგელით. ამიტომ გაფრთხილებთ და გირჩევთ, ეკატერინოდარიდან ეხლავე წახვიდეთ. მაშ ესე, გაიქეცით, ჩქარა, ჩქარა, თორემ, გვიანღა იქნება! (ს. ო.).

კორესპონდენცია

ს. ჭალა (გორის მაზრა). თავ. ამილახვრების მამულში აგერ რამდენიმე ხანია წესიერების დასაცველად მთელი როტა ჯარია გაჩერებული. ამ დღეებში დუშეთის მაზრიდან კიდევ 60 კაზაკიც ჩავიდა. ჯარის ჩაყენებით ხალხი მეტად შევიწროებულია. 15 აპრილს, მაგ., სოფელ საკორინთლოს ვაჭარს ანტონ ტურაშვილს დუქანში წაართვეს პაპიროსი და თუთუნი. ვაჭარი იძულებული შეიქმნა ეჩივლა უფროსთან, რომელმაც მოახდინა განკარგულება, რომ წაღებულ საქონლის ფული მიეცათ ვაჭრისთვის. სოფლელები ჯარის ჩაყენებით იმდენად დაშინდნენ, რომ შინ მოსვლასაც ვეღარა ბედავენ და დღე და ღამე იხიზნებიან ტყეებში. ყანებში მუშაობა თითქმის შეწყვეტილია.

—

ს. ვაყა (გორის მაზრა). აქ ჩამოვიდა ხაშურის ბოქაული და თან ჩამოიყვანა 120 კაზაკი აფიცრიანად, ერთი დღე-ღამის საკვებში კაზაკებმა ხალხს 80 მანეთი დაახდევინეს. რეპრესიული ზომები უფრო აღელვებს სოფლელებს. პრისტავს კანცელარიის აღდგენა უნდა, მაგრამ სოფლელები არავითარ საქმეზე სოფლის კანცელარიაში აღარ მიდიან. სოფლელები წინეთაც ირჩევდნენ ზოგიერთ საქმების მოსაწესრიგებლად, როგორც არის მაგ., მენახირეები, სანდო პირებს და ესენი ბოქაულმა საეჭვო პირებად და არეულობის მეთაურებად მიიჩნია და დაატუსაღა. ჯერჯერობით წაიყვანეს ოთხი კაცი: ბატონა მოსიაშვილი, განო მეტრეველი, მელქო აკოფაშვილი და იოსებ მარაბდელი. ამათი ცოლშვილი და დედმამაც ახლა სოფლის სარჩენი შეიქმნა. სოფელი სწუხს, ვინაიდან დატუსაღებულ პირებს არავითარი ბრალი არა აქვთ ახლანდელს მოძრაობაში.

ეკალი.

—

სოფ. დიდი-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა). საერთო მოძრაობას არც ჩვენი სოფელი ჩამორჩა; როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც, ხალხი თავისუფლად მსჯელობას ეჩვევა, თავს ადამიანად გრძნობს და უდიერად მოქმედებს კრიტიკულის თვალით ზომავს. ყველა მომავალს შეჰხარის და ცხოვრების მიზნად ერთობა, თმამისადმი სიყვარული, დარიბთა ხმარება და დაჩაგრულთა გამოსარჩლება მიაჩნია. დღემდის კი დიდს გაჭირვებასა, მჩხავრისაგან ხავგრას და პოლიციელებისაგან უსამართლობას გრძნობდა; ვინ გინდათ, რომ მისი უფროსი და მომტყუებელი არ ყოფილიყოს? ვისაც კი თავის ჯიბის სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა, იმას ადვილად შეეძლო თავისკენ გზა გაეწოდა და უმრავლესობის გული მოეგო. სოფლის მოხელეები, მატყუარა „აბლაკატები“ და ზოგიერთი გავლენიანი პირებიც უფრო იქითკენ იცქირებოდნენ, სადაც გამოსარჩენს მოელოდნენ, და ფულის გულისთვის სინდისსა და პატიოსნებას ჰყიდდნენ. ხუთ თვეზე მეტია, რაც ხალხმა ყველა ზემო ჩამოთვლილ პირებს უნდობლობა გამოუცხადა, სასამართლოებთან კავშირი შესწყვიტა და ამხანაგური სამართალი შემოიღო. მართალია, ზოგან ამგვარ სასამართლოებში ნათელ-მირონობამ და ნათესაობამ იჩინა თავი, მაგრამ ეს ყველა სოფლის უფილ მოხელეებიდან გვაქვს ნასწავლები და, ეჭვს გარეშეა, დიდხანს არ გასტანს და საქმე სასურველ ნიადაგზე დადგება.

თითქმის სამი თვეა, რაც ჩვენს სკოლებში სწავლა შესწყდა, დიდიდან-პატარამდე ყველა ეხლანდელ სკოლის უვარგისობას ჩივის, ამნაირი სკოლა ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს, ბავშვებს ტვინს უხრწნის, ადამიანურ გრძნობებს უხშობს, თავისუფლად აზროვნობის და მოქმედების ნებას არ აძლევს, ერთი სიტყვით, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარედაც ყოველ-მხრივ ბორკავს და საზოგადოებისთვის გამოუსადეგარ წევრს ამზადებსო და, სანამდის ძირიანად არ შეიცვლება ეხლანდელ სკოლის მდგომარეობა, ჩვენს შვილებს იქ ვერ გავგზავნითო. ერთ-ერთ წარსულ ყრილობაზე ჩვენს სულიერ მამებზედაც ჰქონდათ მსჯელობა, საერთო გაფიცვა მოახდინეს და დაადგინეს, 1905 წლიდან აღარ აძლიონ მათ დრამის ფული; დამარხვისა და ჯვარის-წერისათვის მისცენ თითო მანეთი, ხოლო ნათლობაზე ექვსი შაური.

დონ-ნარი.

—

ოზურგეთი. 5 აპრილს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მოხდა გურიის სამღვდელოების კრება. კრებას დაესწრო სამოცამდე მღვდელი და გასტანა სამს დღეს. დიდი სჯა-ბაასისა და კამათის შემდეგ კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა:

ხალხისაგან ამორჩევა სასულიერო პირებისა და სრული დამოუკიდებლობა ეკკლესიისა კათოლიკოსის მეთაურობით. ძირიანი რეფორმა სკოლებისა; დაარსებულ იქმნას დაბალი და საშუალო სკოლები, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეს წოდებრივი ხასიათი; სამღვდელო პირთათვის სპეციალური ორ-წლიანი კურსები სადვთისმეტყველო ფაკულტეტით.

თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და კრებისა, როგორც სხვებისა, ისე სამღვდელო პირთათვის.

მოგვეცეს სრული მოქალაქობრივი უფლებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მწყესობრივ იდეას, და ამასთან ერთად შეიცვალოს კანონი, რომელიც უკრძალავს მღვდელს თავის ნებით სამსახურის მიტოვებას.

ამასთანავე ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლით გულწრფელად განვაცხადოთ: ჩვენი მოთხოვნილებანი რომ ადვილად იქმნას განხორციელებული, საჭიროა არსებული წესწყობილების ძირითადი რეფორმები. აუცილებელია მოწვევა დამფუძნებელი კრებისა პირდაპირის, ფარულის და თანასწორის კენჭის ყრით; ჩვენ ვუერთდებით ხალხის მოთხოვნილებას“.

მღვდლების ჯამაგირების შესახებ კრებამ იმერეთის სამღვდელოებასავით ხაზინას არ მიმართა და ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგანაც ეკკლესიას მონასტრებს ბევრი ქონება აქვს, ამ ქონებიდან შესდგეს თანხა და ჯამაგირებიც ამ თანხიდან გვეძლეოდესო!..

ხუნხუზი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

25 აპრილი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 24 აპრილს არ მოსულა.

გუნჯულინი. სარდალი უვლის პოზიციებს და ჯარს ათვალიერებს. დღეს ახლად ჩამოსული ჯარი დაათვალიერა და ყოველივე თავის რიგზე ჰპოვა. მეომართა მხნე და გაბედული შეხედულობა აქვთ. ცხენები ერთი-ერთმანეთს სჯობიან. აფიცრები მეტად აქებენ დაბალ მეომრებს, რომლებიც საბრძოლველად მიისწრაფიან. ჩვენს მარცხენა ფრთეზე ხუნხუზების ბრბონი გამოჩნდნენ.

პარიზი. ამბობენ, იაპონელები იმუქრებიან, საფრანგეთის არც ერთ გემს ნავთ-სადგურიდან არ გამოვუშვებთო, მორეულ-აღმოსავლეთიდან დაწყებულ თვით საფრანგეთამდე, ვიდრე არ დაგვაკმაყოფილებენო ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო

ლონდონი. „მორნ. პოსტის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, ვლადივოსტოკის ესკადრის გამოსვლა იმის ნიშანია, რომ ვლადივოსტოკის გარეშემო ალყის შემოსარტყმელად ჯერ არავითარი მზადება არ არისო. უპირველესად უნდა გადაჭრას გზა დასავლეთის მხრივ და ამის ნიშანი კი ჯერ არა ჩანსო

პორტ-საიდი. ინგლისის სამი ნაღმოსანი მოვიდა და სხვებსაც დღეს მოელიან, უნდა მოვიდეს აგრეთვე სამხედრო გემები „კონოპუსი“ და „გოლიათი“, რომლებიც შორეულ-აღმოსავლეთს მიემგზავრებიან.

კოპენჰაგენი. რუსეთის მთავრობა პროტესტს უგზავნის ჩინეთს იმის გამო, რომ ხუნხუზები ამ ომში იაპონელებს ეხმარებიან.

ტოკიო. იაპონიის მეორე პროტესტზე საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა, ბალტიის ესკადრას ნაბრძანები აქვს, ხანკოუს ნავთსადგურს გაშორდეს ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი გონგსაის ნავთსადგურში გაჩერდებაო, კუნძულ ხაინანის სამხრეთად.

ტოკიო. საფრანგეთის წინააღმდეგ ხალხი კვლავ აღელდა ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო. იაპონიის პრესსა ენერგიულ მოქმედებას თხოულობს და მთავრობას ურჩევს, საფრანგეთის ნავთსადგურებს ყუმბარები დაუშინოს.—რუსის ჯარს ჩრდილო-კორეიაში, როგორც ეტყობა, წინ წაუწევია იმ განზრახვით, რომ იაპონელებს ხარბინსა და ვლადივოსტოკს შუა გზა არ გადაეჭრენოს. ტუმენზე სათავესთან ხიდები აგეს და მარცხენა ნაპირზე სიმაგრეები გააკეთეს,

ტოკიო, 24 აპრილი. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი და ნებოგატოვი სამშაბათს შეიყრებიანო. ნებოგატოვი ნელა მიდის და ამიტომავე ნახშირიც უნდა აიღოს სადმე. ამიტომ როჟესტვენსკი შეჩერდება რომელსამე ნავთსადგურში. როჟესტვენსკი ისე ნელა მიდის, თითქო არა ჩქარობს იაპონიის დაუახლოვდეს, და ეს ეჭვს ჰბადავს, იქნება ვერა ჰბედავს ჩრდილოეთისკენ წასვლას და იაპონელებთან შებრძოლებასო. ვლადივოსტოკის ნაღმოსნებზე არა ისმის-რა. ვლადივოსტოკისკენ თუ გაბრუნდნენო.

ლაბუან. გემს „ჩინიმაი“-ს 22 აპრილს, ღამე, ლაბუანის ყურეს ჩრდილო-აღმოსავლეთად, 70 მილის მანძილზე, უცნობი ფლოტი დაუნახნია, ორ დივიზიად გაყოფილი და განათებული; ეტყობა, ნახშირს იღებდაო.

ტოკიო, 24 აპრილი. იაპონიის პროტესტის გამო, საფრანგეთმა მოსთხოვა როჟესტვენსკის ხანკოუს ნავთსადგურიდან წასვლა. ჰფიქრობენ, ახლა ლონსოიში ისადგურებსო, ხაინანის სამხრეთად. პრესსა ენერგიულ ღონისძიებას ავალებს მთავრობას, რადგან საფრანგეთის ნეიტრალიტეტი უიმედოაო. «ასახი» დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი ჩუმად შველის რუსებს. ,,ჯიჯი შიმპო'' ამბობს, საფრანგეთი ბარემ აშკარად ჩაერიოს ომში და რუსეთის მოკავშირეობა აღიაროსო.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გარეშე საქმეთა მინისტრს მოსთხოვა, შენი მოქმედების გეგმა დაწვრილებით შემატყობინეო. დელკასემ სთხოვა, რამდენსამე დღეს დამიცადეთ, რადგანაც მოლაპარაკების გამომჟღავნება ჯერჯერობით არ არის სასურველიო. ამგვარად რამდენისამე დღის შემდეგ გადასწყდება—დელკასე თავის თანამდებობაზე დარჩება თუ არა. პოლიტიკურ წრეები ითხოვენ, ლონდონს და რომში ძალა დაატანეთ, რომ შეერთებულის ღონით მენელიკი იძულებული ჰყონ, რკინის გზების კეთება საერთაშორისოდ კი არა, ფრანგთა კომპანიას გადაეცესო.

ტამბოვი. ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ჩილოუკოვის თავმჯდომარეობით თავად-აზნაურების კრება მოხდა. შეიკრიბა 80 კაცი. ბჭობა ჰქონდათ 22 გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების მოსკოვში შედგენილ დადგენილებაზე. უმეტესობა დადგენილებას შეუერთდა.

ერევანი, 24 აპრილი. სააგენტოთა დეპეშები არ იბეჭდება. გუშინ მცხოვრებლებზე ტფილისის გაზეთებში დაბეჭდილმა სარწმუნოებრივ თავისუფლების ბრძანებამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით თათრებზე. თათრების დეპუტაცია, რომელიც პეტერბურგში ნამესტნიკსა და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა, დაბრუნდა. უმაღლესმა ბრძანებამ იმედი ჩაუნერგა თათრებს გულში, რომ მოკლე ხანში იგინიც უფლებრივად რუსეთის სხვა ქვეშევრდომთ გაუთანასწორდებიან.

კიევი, 24 აპრილი. პირველ სადღესასწაულო დღეს შესასვენებლად, როგორც შეთანხმებული იყვნენ პატრონები და ნოქრები, [illegible]; ზოგი მაღაზია გააღეს, სხვა მაღაზიების ნოქრებმა კი წინააღმდეგობა გაუწიეს და დაკეტვა მოსთხოვეს.

ვოლოგდა. ნოქრები კიდევ გაფიცულნი არიან. ადმინისტრაციამ მაღაზიები დაკეტინა. არეულობა მომხდარა.

ლონდონი. ქაბულში გაგზავნილმა ინგლისის მისსიის მეთაურმა დენმა აცნობა რეიტერის კორესპონდენტს, რომ მისსიას დავალებული ჰქონდა გამოერკვია ინგლის-ავღანისტანის დამოკიდებულება და ემირის მამასთან დადებულ ხელშეკრულობის განახლება. ემირმა სრული თანხმობა გამოაცხადა, დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი მკვიდრ და სასურველ ურთიერთობის განსამტკიცებლად. ემირი დარწმუნებულია, რომ ინგლისის მეგობრული პოლიტიკა არ შეცვლილა და მისი ინტერესები სრულიად ეთანხმება ინდოეთის ინტერესებს. მისსია ფრიად მეგობრულად მიუღია ემირს და თავისუფლად დადიოდა თავის სურვილისამებრ. წამოსვლის დროს წარჩინებულმა ავღანელებმა დენს ადრესი უძღვნეს.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას-გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების 91 § ძალით, ამით აუწყებს ხსენებულ ბანკის ბ-ნთ რწმუნებულთ, რომ ამა 1905 წელს, 29 მაისს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, დანიშნულია საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

1). ანგარიში და მოხსენება 1904 საოპერაციო წლის ბანკის მოქმედებაზე.

2) მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეულ იქმნა 1904 წლის რწმუნებულთა კრებაზე, ბანკზე დარჩენილ მამულების საქმის გამოსარკვევად.

3) ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის ინსტრუქცია.

4) ბანკში დასაგირავებლად წარდგენილ მამულების დაფასების ინსტრუქცია.

5) მოხსენება ბანკის სამოსამართლო საქმეების შესახებ.

6) წესდება ბანკში მოსამსახურეთა შემნახველ დამხმარებელ კასისა.

7) მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა ჩამატების შესახებ.

8) ბანკის 1905 საოპერაციო წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

9) არჩევნები სათანამდებო პირებისა: ა) გამგეობის ორის წევრისა, უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკისა და ქრ. ი. მამაცაშვილის მაგივრად, რომელთაც ამ წელს სამსახურის ვადა უთავდებათ; ბ) მათი ორის კანდიდატისა, თავ. ი. ი. ჯორჯაძისა და თავ. ა. რ. ცისვაძიშვილის მაგივრად; გ) დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, თავ. დ. დ. ჩერქეზიშვილისა და თავ. ი. გ. ჯორჯაძის მაგივრად, რომელთაც ამ წელს სამსახურის ვადა უთავდებათ, და დ) მათის ერთის კანდიდატისა, თავ. რ. ი. ამირეჯიბის მაგივრად.

შენიშვნა: გამოცხადებულ რწმუნებულთა რიცხვის რაოდენობის მიუხედავად, რწმუნებულთა კრება მაინც შესდგება.

(3—1)

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.